ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 35
(11 492)

8 – 10 მაისი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გუშინ, თბილისში, საქართველოს 17-წლიანთა ნაკრებმა აზერბაიჯანელ თანატოლებს უმასპინძლა. ერთადერთი გოლი ამირან იაშვილმა გაიტანა (სურათზე №10).

4




ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

## ნონა-60



3

საიუბილეო საღამო
12.05 17[00] სთ
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

## ქვეყანაში სპორტული შეჯიბრებები მოგვიმრავლდა!

2-3

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა
VII ტური

4



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

### პირველი ფინალური მატჩი
### სტუ — «ბასკო» 74:104

მასპინძლებმა პირველ ნახევარში შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს ქვეყნის ჩემპიონებს და მინიმალური სხვაობით დათმეს იგი – 45:49, მეტიც, პირველი პერიოდი მოიგეს კიდეც – 25:23.

აღსანიშნავია სტუდენტთა ახალგაზრდა თავდამსხმელის ლოსაბერიძის აქტიურობა, რომელიც მოედანზე, რატომღაც, იშვიათად გამოჰყავდათ. ფავორიტმა თამაშში გარდატეხა მაშინ შეიტანა, როცა 31:35-ზე მისმა თავკაცმა ზურაბ ტომარაძემ შეგირდებს პრესინგი დაავალა. ამის შემდეგ ნაცვლიშვილი, კილაძე, როჯერსი, ბეჟანიშვილი და დროჟანოვი შეუჩერებელნი გახდნენ.

საპასუხო შეხვედრა ბათუმში 10 მაისს გაიმართება. თუ მასპინძლები მოიგებენ – ჩემპიონები გახდებიან. მესამე ადგილი, როგორც ცნობილია, „მაკაბს“ მიენიჭა.

## თამაზ ანთაძეს თელავში „ჩაუხტნენ“...

3

## ნბა



### ფილადელფია – ტორონტო 93:96

აივერსონი (36+8 მოხსნა), მუტომბო (17+12 მოხსნა), მაკი (14+6 მოხსნა), კარტერი (35+7 გადაცემა), კარი (20), უილიამსი (15), ოუკლი (13), დევისი (10+12 მოხსნა) შეხვედრათა ანგარიშია 0-1 სერია გაგრძელდება ოთხ მოგებამდე.

„ფილადელფიამ“, როგორც წინა შეხვედრაში, „ინდიანასთან“ სერია აქაც საკუთარ მოედანზე წაგებით დაიწყო. ამ შეხვედრაში „ტორონტოს“ უპირატესობა უდავო იყო პირველ სამ ნახევარში. ხოლო მასპინძელთა მთავარი ძალა ალენ აივერსონი არაზუსტად ისროდა. 34 სროლიდან მხოლოდ 11 ჩააგდო თამაშიდან. მაგრამ ბოლო პერიოდში „ფილადელფიამ“ „აიწყვიტა“ და „ტორონტოს“ ქულათა უპირატესობა თანდათანობით „დადნა“, სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში მის რიგებში გამოჩნდა ვინს კარტერი, რომელმაც ხელში აიღო ინიციატივა და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა.

### ლეიკერსი – საკრამენტო 108:105

ო'ნილი (44+21 მოხსნა), ბრაიანტი (29+5 გადაცემა), უებერი 34+8 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (20), უილიამსი (14). ანგარიში — 1:0.

„საკრამენტოს“ კალათბურთელებმა დიდი თავისუფლება „უბოძეს“ შაკილ ო'ნილს, რითაც კარგად ისარგებლა ამ გიგანტმა. „შაკის“ 44 ქულას „საკრამენტომ“ ვერაფრით უპასუხა.

### მილუოკი – შარლოტი 104:92

ალენი (26+6 გადაცემა), კასელი (20), რობინსონი (15+5 მოხსნა — 11 გადაცემა), მეშბერნი (23+6 მოხსნა), დევისი (18+7 გადაცემა) ანგარიში 1:0.

## სამბოს ამქარი შინ 16 მედლით ბრუნდება

ბულგარეთის ქალაქ ალბენაში დასრულდა ევროპის პირველობა სამბოში ჭაბუკთა, ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრები გუნდების მონაწილეობით. გუშინ მხოლოდ ის შეგვატყობინეს, რომ საქართველოს წარგზავნილებმა 16 მედალი მოიპოვეს. აქედან 2-2 ოქროსია (ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში), დიდებს შორის ერთს ვერცხლის, სამს — ბრინჯაოს მედალი ხვდა.

დაწვრილებით „ლელოს“ შემდეგ ნომერში.

### გიწვევთ პრესკონფერენციაზე

სამბოს ნაკრები გუნდების შინ დაბრუნებისთანავე, ხუთშაბათს, 10 მაისს, 13 საათზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საქტო დარბაზში ჩატარდება პრესკონფერენცია.

## თედი შერინგემი — მეორე გაიმის მოთამაშე

6

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

**თავისუფალი ჭიდაობა.** აშშ-ში დასრულდა მსოფლიო თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდური პირველობა მოიპოვეს ირანელებმა, მეორეა — აშშ-ის, მესამე — რუსეთის ნაკრები. პირად შეჯიბრებაშიც ძირითადად, ირანელი და ამერიკელი ფალავნები პირველობდნენ.

### ბალცერი ილებდა დოპინგს

**გუშინ, განმეორებით დადასტურდა, რომ გერმანელი თარჯმრბენი ფალკა ბალცერი აკრძალულ პრეპარატ ნანდროლონს ილებდა. განმეორებითი შემოწმება, სხვათა შორის, ამ სპორტსმენმა თავად მოითხოვა, მაგრამ...**




ფალკა ბალცერი

### ჯორიჩი დაითხოვეს

გუშინ თანამდებობიდან დაითხოვეს იუგოსლავიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი მილოვან ჯორიჩი. „ამ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანა ქვეყნის ნაკრების არადამაკმაყოფილებელი გამოსვლების სერიამ და გუნდის უსახო თამაშმა“ — განაცხადა იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბრანკო ბულატოვიჩმა.

### გაჯიევი კი თავისი ნებით გადადგა

მახაჩყალის „ანჟის“ მთავარი მწვრთნელობიდან ჯანმრთელობის გაუარესების გამო გადადგა გაჯი გაჯიევი. მას ამ პოსტზე ანატოლი ბიშოვეცი შეცვლის.



გაჯი გაჯიევი

### ისევ ტრაგედია, ისევ აფრიკაში

**გუშინ მორიგი ტრაგედია დატრიალდა. ორი პოპულარული საფეხბურთო კლუბის „ასეკ მიმოზას“ და „აფრიკის“ მატჩის დროს გულშემატკივრები ერთმანეთს დაერივნენ. თამაში 40 წუთით შეწყდა. იუწყებიან, რომ მინიმუმ ერთი ადამიანი დაიღუპა და 39 მძიმედ დაშავდა.**

### ეროვნული ჩემპიონატები ფეხბურთში. გუშინ.

**დანია:** ორხუსი — მიუტლანდი 2-0.
შვეცია: გისტენბურგი — აიკი 1-0; ტრელებორგი ჰალმსტადი 0-3; ჰამარბიო — ორებრო 3-0.
**საბერძნეთი:** პანათინაიკოსი — აეკი 0-'.
**ჩეხეთი:** ბუდიოვიცე — ბლქანი 1-1.




3

მარცხნიდან: თიკა ჭიჭინაძე, თეიმურაზ დონაძე, პაატა ფირცხალავა, ეკა ქავთარაძე, მერაბ ჩიტაური.
რობერტ ბაგოიანის ფოტო.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

გომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 3 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

TM © 1997 SLOC 36 USC 380

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 9 თვე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

## უმედლოდ არავინ დარჩენილა

ამჯერად მარშალ ბაგრამიანის სახელობის ჭაბუკთა ტურნირში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1985-86 წ.წ. დაბადებული 185 სპორტსმენი იბრძოდა გამარჯვებისთვის. ერევნის ხალიჩაზე დიდი წარმატება ხვდათ გლდანის ორსის ალსაზრდელებს. სასწავლებლის რვავე მოჭიდავე სხვადასხვა სინჯის მედალს დაეპატრონა. მათგან ექვსმა ოქროსი მოიპოვა. პირველი ადგილი წილად ხვდათ: დავით ბექაურს (42 კგ), ბექა ჰელიძეს (46), კობა კაკალაძეს (58), ნოე ჰელიძეს (63), ალეკო დოჩიას (76) და ამირან მარკოიშვილს (100) ვერცხლის მედალი ერგო ვიქტორ გოგორიშვილს, ბრინჯაოსი გიორგი ჯიმშელეიშვილს (ორივე — 85 კგ).

## ომისა და სპორტის ფრონტზე თავგამოჩენილ ადამიანებს სპორტის დეპარტამენტმა პატივი მიაგო

ტრადიციული შეხვედრა იმ ღვაწლმოსილ ადამიანებთან, რომლებმაც მთელი თავისი ცხოვრება სპორტს შესწირეს და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშიც მოიხადეს თავიანთი ვალი, ამჯერადაც გაიმართა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში, რომელმაც, სპორტის მუშაკთა პროფკავშირთან ერთად, ღირსეული პატივი მიაგო სახელოვან ვეტერანებს.

მიწვეულებს გულთბილად მიესალმა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, რომელმაც ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ფულადი ჯილდო და პროდუქტები გადასცა. საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ოთარ დიდებულიძემ მადლობის სიტყვებით გამოხატა ვეტ[illegible]ნებისადმი ასეთი ყურადღება. ქართული ტანვარჯიშული მოძრაობის პატრიარქის გიორგი ეგნატაშვილის ვაჟმა, ომისა და სპორტის ვეტერანმა ირაკლი ეგნატაშვილმა, გასული საუკუნის დასაწყისში შევარდნული მოძრაობის ამსახველი მამისეული ალბომი და ვიდეოკასეტაზე გადატანილი წარსულის ფოტოთეკა გადასცა სამახსოვროდ ირაკლი მეძმარიაშვილს.

## მილოცვა ომის ვეტერანებისადმი

გილოცავთ თქვენს მიერ გმირობით მოპოვებულ გამარჯვების დღეს — 9 მაისს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს თქვენს ოჯახებთან ერთად. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

**საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო**

## წოდების მინიჭება

**საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარებისა და ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ აღზრდაში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ წოდება მიენიჭათ:**

**ლიანა შეყრილაძეს** – ს/ს „შევარდენის“ ბავშვთა/მოზარდთა ფარიკაობის ოლიმპიური რეზერვის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს;
**ჯემალ ძაბანიას** – ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პრორექტორს;
**ჯუმბერ დავლიანიძეს** – საერთაშორისო, ექსტრა კლასის არბიტრს თავისუფალ ჭიდაობაში;
**თამაზ მარტოლეკს** – მცხეთა-მთიანეთის მხარის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, მწვრთნელს ნიჩბოსნობაში;
**ომარ იაძეს** – სამბოში ეროვნული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს;
**ომარ ბუზეშაშვილს** – ქ. რუსთავის დარგთაშორის პროფესიული სასწავლებლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელს;
**შოთა გვილავას** – აფხაზეთის ა/რ-ის განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და დაწყებითი სამხედრო სწავლების უფროს მეთოდისტს;
**ელდარ ფარჯანაძეს** – თბილისის მერიის სპორტის, ფიზაღზრდისა და ტურიზმის სამსახურის ბავშვთა/მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორს;
**გივი ფერედიანს** – ვეტერან-მთამსვლელს, სოფ. ბეჩოს (სვანეთი) სამაშველო რაზმის უფროსს.

## დაჯილდოება

საქართველოში სამბოს განვითარებისა, მაღალი რანგის სპორტსმენთა მომზადებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და დაბადებიდან 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ***ალექსანდრე მწარიაშვილი*** დაჯილდოვდა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სიგელით.

საქართველოში ხელბურთის განვითარებისა და მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, დაბადებიდან 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მერიის სპორტის, ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის სამსახურის უფროსის მოადგილეს ***ზაურ დოლიძეს*** მიენიჭოს „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის“ საპატიო წოდება.

საქართველოში ქართული ჭიდაობისა და სამბოს განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ქრისტეფორე ნინიაშვილი დაჯილდ[illegible]ეს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელით.

**პრობლემა ხმაურობს**

# სვანეთი – ქართული სპორტის თავანკარა წყაროა, მაგრამ...



*ტრადიციებს მეტწილად თვით ცხოვრება, ხალხი ქმნის, მაგრამ არცთუ იშვიათია, როცა პიროვნებები უყრიან მას საფუძველს. სვანეთში გივი ჯაფარიძის სახელთანაა დაკავშირებული კრივისა და ძიუდოს განვითარება, სამთომეთხილამურეობის ძველი ტრადიციების შენარჩუნება, თუმცა ამ მაღალმთიან კუთხეში, გარდა ბუნებრივი პირობებისა, არანაირი შესაძლებლობები არ არის სათხილამურო სპორტის გასავითარებლად. სწორედ ამ პრობლემებზე გვესაუბრება მესტიის რაიონის სპორტსკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი გივი ჯაფარიძე.*

რესპოდენტს ესაუბრება სპორტის ზამთრის სახეობებში საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრი, ნაგანოში ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილე პირველი ქალი საქართველოდან, თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი ***სოფიო ახმეტელი.***

● ***ბატონო გივი, მესტიაში სპორტის განვითარების მთავარი დასაყრდენი მაინც სპორტსკოლაა, რომელ წელს შეიქმნა იგი?***

– 1967 წელს გაიხსნა განათლების კომპლექსური სპორტსკოლა, რომელიც სათხილამურო სპორტის (სამთო, რბოლა) ჯგუფებსაც აერთიანებდა. მანამდე, 1958 წლიდან სამთომოთხილამურეთა ჯგუფები რესპუბლიკის სპორტკომიტეტის სკოლის ფილიალში შედიოდა. იმ დროს მხოლოდ ბაკურიანსა და ალმა-ათაში იყო საბაგირო გზები.

● ***სპორტსკოლის ფილიალი შემთხვევით არ გაიხსნებოდა...***

– რა თქმა უნდა. ბევრი კარგი მოთხილამურე გვყავდა, რომლებიც საკავშირო პირველობებშიც წარმატებით ასპარეზობდნენ. 60-იან წლებში საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი გახდა ბორის კახიანი, ზამთრის მეორე საკავშირო სპარტაკიადაზე მესამე ადგილზე გავიდა ნათელა ფალიანი. საქართველოს ჩემპიონებსა და პრიზიორებზე აღარაფერს ვამბობ.

● ***მერე კრივისა და ძიუდოს დანერგვაც დაიწყეთ...***

– რაკი სპორტის ზამთრის სახეობებისთვის პირობების შექმნას საშველი არ დაადგა, ნიჭიერი ახალგაზრდები კრივსა და ძიუდოში მოვიზიდეთ. იმთავითვე გაგვიმართლა. კრივის სპეციალისტი, ჩვენებური მწვრთნელი ალიოშა ჯაფარიძე მოსკოვიდან ჩამოვიყვანეთ. ძიუდოში ადგილობრივი მწვრთნელი გვყავდა – რობიზონ ჯაფარიძე და გაიოზ ჩართოლანი. აქვე გეტყვით, სპორტის ამ სახეობებში 24 სპორტსმენი გახდა მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის პრიზიორი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. ბოლო ხანებში დასავლეთ საქართველოს პირველობაზე ძიუდოში ერთი პირველი, სამი მეორე და რვა მესამე ადგილი დავიკავეთ. ეს ცოტა არაა. არანაკლები წარმატებები გვექნებოდა სათხილამურო სპორტში, მაგრამ...

● ***გასაგებია, რისი თქმა გსურთ, მთელი ყურადღება მაშინ ბაკურიანსა და გუდაურზე გადავიდა, სვანეთში კი მდგომარეობა უცვლელი დარჩა.***

– სამწუხაროდ, ეს რეალობაა. მიუხედავად ამისა, მაინც გავდივართ საპრიზო ადგილებზე საქართველოს პირველობებში.

● ***არც სპორტული ინვენტარისთვის გაგაჩნიათ სახსრები, როგორ ახერხებთ შეჯიბრებებში გამოსვლას?***

– მეგობრები გვეხმარებიან. მეტწილად 15 წლის წინანდელი სათხილამურო ფეხსაცმელებით და ნათხოვარი თხილამურებით გამოვდივართ. მარტივი საბაგირო გზაც არ გვაქვს, მომეცადინეები ფეხით ადიან მთაზე. ეს მარადიული პრობლემებია, რაც აფერხებს სპორტსმენთა დაოსტატებას.

● ***წლეულს, ასე თუ ისე, მაინც წარმატებით იასპარეზეთ...***

– გუდაურში, ახლახან, პირველ ადგილზე გავიდა ირაკლი ჟორჟოლიანი, მეექვსე იყო ლაშა ჯაფარიძე, მერვე – ირაკლი ჯაფარიძე, მეთერთმეტე – გიორგი ჩართოლანი (ყველა – უმცროს ასაკში), უფროსებში მეშვიდე იყო დათო ნიგურიანი, მეცხრე – ირაკლი ქურდიანიძე, მეთერთმეტე – ჯამბულ ჯაფარიძე.

როგორც ხედავთ, პერსპექტიული სპორტსმენები მრავლად არიან სვანეთში. თუ მთავრობა დროულად მოგვხედავს და შექმნის წვრთნის ნორმალურ პირობებს, საქართველოს სამთომოთხილამურეები ნაცვლად უცხოეთისა, შინ მოემზადებიან, სვანეთში ხომ წლის უმეტეს პერიოდში შეიძლება თოვლზე ვარჯიში.

**მატიანე**



1912 წ. ქართული ტანვარჯიშის პიონერები. წინა რიგში (მარცხნიდან): ა. ჯაქრაძე, გ. ეგნატაშვილი, ი. ლორთქიფანიძე; უკანა რიგში: დ. ჯავრიშვილი, ვ. ციციშვილი, შ. აგლაძე, ი. ნანეიშვილი, ნ. ონანაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალაძისეული „ტრიალის" კასკადი მემკვიდრეთა შესრულებით

## მსოფლიო ჩემპიონის მიხეილ სალაძის სახელობის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1987-89 წ. დაბადებულთა შორის

ასეთი შეჯიბრების საჭიროებაში კი არა, აუცილებლობაში ადვილად დარწმუნდებოდით, გლდანის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის (ორს) საჭიდაო დარბაზს რომ სწვეოდით. ჯერ ერთი, ასეთი მასობრიობითა და წარმომადგენლობით დღეს ჩვენში ალბათ, სპორტის ბევრი სახეობა ვერ მოიწონებს თავს. დიახ, საქართველოს 18 რეგიონის 289 მოზარდი გამოდიოდა სარბიელზე. მათ შორის იყვნენ იმ კუთხის წარმომადგენლებიც, სადაც ადრე ჭიდაობა არ ყოფილა პოპულარული. მეორეც, რაც აგრეთვე თვალში მოგხვდებოდათ, ის იყო, რომ ჭაბუკები სრულად ფლობდნენ ამ ჭიდაობის ურთულეს ილეთებს, თითქოს აკვნიდან დაჰყვათო, განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ელვისებური წელში შესვლა და ცნობილი სალაძისეული „ტრიალი", რომლითაც ამ სასწავლებლის აღზრდილს თვით მიხეილ სალაძეს მსოფლიოს არაერთი უძლიერესი მოჭიდავე დაუმარცხებია 12-წლიანი სპორტული კარიერის განმავლობაში.

აი, სწორედ ეს გახლდათ საზეიმო განწყობილების მიზეზი, რომელიც სამივე დღის განმავლობაში დარბაზში სუფევდა. და კიდევ, ეს იყო სასწავლო წლის ერთგვარი სესია-ანგარიში, რომლითაც მწვრთნელები და შეგირდები, აქ ოლიმპიური რეზერვის სკოლის კედლებში წარსდგნენ მომთხოვნი მაყურებლებისა და სპეციალისტების წინაშე: — თესლი ნაყოფიერ ნიადაგშია მოხვედრილი, ახლა მთავარია, მონაგარი არ დაიკარგოს და სწორი გზით წარიმართოს ნაყოფის განვითარება-მოწევა ეს კი სწორედ მსგავსი ასპარეზობების მოწყობით უნდა მოხდეს, რაც დღეს აშკარად აკლიათ ჩვენს მოზარდებს. ამიტომაც ორს-ის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ასპარეზობა ტრადიციული გახადოს და ყოველწლიურად ჩაატაროს.

2 1 3 კვარცხლბეკი

**29 კგ:** 1. ლევან გვარამია (ორს, ხობი), 2. დავით დიმიტრაძე (ხული), 3. დავით ვეფხვაძე (რუსთავი), თორნიკე შერვაშიძე (მარტყოფი); **32 კგ:** 1. ლაშა ლოლაშვილი (თბილისი), 2. ირაკლი რაზმაძე (მარტყოფი), 3. როლანდ ქამლაძე (ბათუმი), იოსებ ტოტიკაშვილი (მარტყოფი); **35 კგ:** 1. აკაკი ძამაშვილი (მარტყოფი), 2. თორნიკე დანელია (სენაკი), 3. რამაზ ვაშაყმაძე, თემურ ქადიძე (ორივე — ბათუმი); **38 კგ:** 1. არსენ კახაბრიშვილი (მარტყოფი), 2. გიორგი ავაზაშვილი (თბილისი), 3. ჯონი ხოზრევანიძე, გრიგოლ შანთაძე (ორივე — ხული); **42 კგ:** 1. ლაშა გოგიტაძე (ქუთაისის სპ. ლიცეუმი), 2. ირაკლი ჩიქობავა (სენაკი), 3. გია ტუღუში, ლაშა ჩხაიძე (ორივე — ოზურგეთი); **47 კგ:** 1. თემურ აბაშიძე (ორს), 2. ბექა შავაძე (ხული), 3. გიორგი ჩხენკელი (ქუთაისი), ანზორ შანთაძე (ორს); **53 კგ:** 1. მარადი გობაძე, 2. ზაზა შავაძე (ორივე — ხული), 3. ვაჟა ბისეიშვილი (ლანჩხუთი), გიორგი ჩხაიძე (ბათუმი); **59 კგ:** 1. გიგა მესხი, 2. სერგო ნინუა (ორივე — ქუთაისი), 3. როლანდ ბერიძე, გიორგი გეწაძე (ორივე — ბათუმი); **66 კგ:** 1. თენგიზ ეპიტაშვილი (მარტყოფი), 2. ირაკლი ჭალალაძე (ბათუმი), 3. გურამ ღვანია (აფხაზეთი); ჯაბა ჩხარტიშვილი (ოზურგეთი); **73 კგ:** 1. მამუკა მამულაძე (ორს, ბათუმი), 2. გიორგი კუკულავა, 3. ომარ სულაბერიძე, ლევან ტყებუჩავა (სამივე — ქუთაისი); **85 კგ:** 1. ალექსანდრე წიწილაშვილი (ზესტაფონი), 2. ზურაბ სალთხუციშვილი (მარტყოფი), 3. ავთანდილ ქორქოლიანი, გიორგი პატარიძე (ორივე — ქუთაისი); **100 კგ:** 1. გურამ ფერსელიძე (ორს, ბათუმი), 2. რაულ ცხადაძე (თერჯოლა), 3. გიორგი ნაცარაშვილი (თბილისი), დავით ფურცელაძე (ბაღდადი).

ჭ. უნბიაძე

# ნონა-60



1964 წ.



1971 წ.

ნონა გაფრინდაშვილი 1962 წლის შემდეგ, როცა პირველად გახდა მოჭადრაკე ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი, ხშირად სტუმრობდა ფაბრიკა-ქარხნებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სასწავლებლებს. იმ დროიდან გაიხადა თავის კერპად მშობელმა ხალხმა ნიჭიერი მოჭადრაკე და რაც დრო გადიოდა, ეს სიყვარული უფრო ღრმავდებოდა.

ორ სურათს ერთმანეთისაგან 9 წელიწადი აშორებს, ორივე კადრი რუსთავში, მეტალურგებთან ნონას სტუმრობის დროსაა გადაღებული. რედაქციაში ეს ფოტო თვით რუსთაველებმა მოგვაწოდეს.

## ბილიარდი

# ერთმანეთის თანადგომით უფრო შორს წავალთ...

საბილიარდო კლუბი, „იმპერიალი" წარმატებით იმკვიდრებს მაღალ რეპუტაციას და ჩვენში ბილიარდის კულტურის ცენტრად მოიაზრება. საქართველოს საბილიარდო სპორტის ეროვნულ ფედერაციასთან და ფრანგულ ფირმა „გალუაზთან" ერთად ამ ავტორიტეტულმა კლუბმა ღია ტურნირი გამართა ამერიკულ „პულში".

ტურნირში 113 ვაჟის და 31 ქალის მონაწილეობა, რომლებიც წარმოადგენდნენ თბილისს, სოხუმს, ბათუმს, ყვარელს, ოზურგეთს, თავისთავად მეტყველებს თუ როგორ იზრდება ინტერესი სპორტის ამ სახეობისადმი ჩვენში.

ქალთა ფინალში პირისპირ დადგნენ თბილისელები ეკა ქავთარაძე და თიკა ჭიჭინაძე. გაიმარჯვა ეკა ქავთარაძემ. მესამე იყო თამუნა კანკია, ვაჟების ფინალში თბილისელმა მერაბ ჩიტაურმა საინტერესო ბრძოლაში მოუგო ოზურგეთელ თეიმურაზ დონაძეს. მესამე ადგილზე გავიდა სოხუმელი პაატა ფირცხალავა, რომელიც, ამასთან, მაგიდის ჩოგბურთის ოსტატია და ამჟამად მწვრთნელად მუშაობს. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ზემოხსენებული ორგანიზატორების მიერ დაწესებული პრიზებით. ერთ-ერთი ჯილდო წილად ხვდა 10 წლის ჯემალ ჯალიაშვილს.

„დიდი მადლობა ფრანგულ ფირმა „გალუაზს", კლუბ „იმპერიალს", მათ ხელმძღვანელებს ავთანდილ ძნელაძეს და ჯემალ ჯალიაშვილს, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეებს ლერი ხაბელოვს და ვლადიმერ ხოფერიას თანადგომისათვის და პრაქტიკული დახმარებისთვის, ასეთი ტურნირები ხელს უწყობს საქართველოში ბილიარდის პოპულარობას და შემდგომ განვითარებას" — უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს საქართველოს ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ალექსიძემ.

ც. ბაქრაძე





## ჩოგბურთი ოთარ ჭარხალაშვილის ტურნირი

# ჩოგბურთელთა ახალი თაობა ტურნირებში ინრთობა

სპორტის ღვაწლმოსილ ადამიანთა სახელთან დაკავშირებული ტურნირების გამართვა, ჩვენში ბოლო ხანებში წესად იქცა, რაც უდავოდ მისასალმებელია. ამჯერად თბილისში ოთარ ჭარხალაშვილის მემორიალური ტურნირი გაიმართა ჩოგბურთში ოთხ ასაკობრივ ჯგუფში ბათუმელი, რუსთაველი და თბილისელი გოგონებისა და ჭაბუკების მონაწილეობით. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. **1985-86 წლიანები. ჭაბუკები:** 1. ვახტანგ მჭედლიშვილი, 2. იური ხომერიკი, 3. ირაკლი დასაველიძე. **1987-88 წ. გოგონები:** 1. მანანა

რობერტ ბაგოიანის ფოტო



შაფაქიძე, 2. ნათია გეგია, 3. ია ჯიქია; ჭაბუკები: 1. ვახტანგ მჭედლიშვილი, 2. მერაბ კოშიბაძე, 3. ირაკლი დასაველიძე. **1989-90 წ.:** 1. სალომე ჩაჩხუნაშვილი, 2. თეონა ცერცვაძე, 3. სალომე ჯანონი; **ბიჭები:** 1. ნიკა ქურდაძე, 2. გეგა გიორგაძე, 3. სანდრო თოფურიძე; 1991-92 წ: 1. ეკა გორგაძე, 2. თათია კახელიშვილი, 3. ბასმათ ტავილოვა; ბიჭები: 1. გიორგი ციგაძე, 2. მიხეილ მაჩაბლიშვილი, 3. დემეტრე თაქთაქიშვილი (გიორგი ციგაძე ბათუმიდანაა, ყველა დანარჩენი თბილისელია). ტურნირის დირექტორი იყო ნიკო ელერდაშვილი, მთავარი მსაჯი — ვიქტორ ავალოვი.

*სურათზე: ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები, ორგანიზატორები.*

# თამაზ ანთაძეს თელავში „ჩაუხტდნენ"...

წარსულში ცნობილი ხელბურთელის, „ოქროს ბიჭების" თაობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის თამაზ ანთაძის სახელს უკავშირდება თელავში სპორტის ამ სახეობის დანერგვა-განვითარება. ასეთი პატრიოტული და შედეგიანი ნაბიჯი გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ არავის გადაუდგამს რეგიონში სპორტის ამა თუ იმ სახეობის დასანერგად. ძნელია ასეთი კაცის ამაგის მხოლოდ ჯილდოთი და საქები სიტყვებით შეფასება. ამიტომ მისმა მეგობრებმა და შემდგომი თაობის მადლიერმა მემკვიდრეებმა ორიგინალური ჩანაფიქრი განახორციელეს — თელავში ქართველ ხელბურთელთა სამი თაობის ტურნირი ჩაატარეს თელავის, თბილისის „ქარიშხალას" და „რეზოს ბიჭების" გუნდების მონაწილეობით.

ეს იყო მართლაც დაუვიწყარი და ამაღელვებელი ღონისძიება, დარბაზში (სპორტული კომპლექსიც თ. ანთაძის ინიციატივით აიგო) მაყურებლად მოსულ ხელბურთელს თითქმის ვერ ნახავდით, ყველას მოედნისკენ ერჩოდა გული. ხელბურთში თავისი საუკეთესო წლები გაიხსენა აგრეთვე ჩვენი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა და სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსმა მერაბ მეტრეველმა.

დეპარტამენტმა თელაველ ხელბურთელებს საჩუქრად ჩაუტანა სპორტული ფორმა და ბურთები.

სააგენტო „ბუმათი"

## ? შეკითხვა „ლელოს"

გთხოვთ მიპასუხოთ, ინგლისში ქვეყნის სპორტული ხელმძღვანელობის რა სტრუქტურაა შექმნილი და რა მისამართზე შეიძლება მივმართოთ?

*ლევან შალამბერიძე, თბილისი*

**პასუხი: დაბეჯითებით შეგვიძლია გითხრათ, რომ ინგლისში სპორტს ხელმძღვანელობს კულტურის, პრესის და სპორტის საქმეთა სამინისტრო, რომელსაც ხელმძღვანელობს კრის სმიტი. სამწუხაროდ, ამ სამინისტროს მისამართი ფაქსის ან ელექტრო ფოსტის ნომერი რედაქციისთვის უცნობია.**

გამოიწერეთ ლელო
2001 წლის II ნახევრისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

# საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
# უმაღლესი ლიგა VII ტური


დინამო (თბილისი) — მერანი-91

ელდარ მელაზიშვილის ფოტო

## ტექნიკური შედეგები

### დინამო (თბ.) — მერანი-91 (თბ.) 4–0

**დინამო:** ხაჩირაშვილი, შაშიაშვილი, კანდელაკი, მაზიაშვილი, მანწკავა (სვანაძე, 53), გაბიდაური (ჩივაძე, 79), ბურდული, სახვაძე, იაგორაშვილი (მიკუჩაძე, 74), ზირაქიშვილი, მიქაძე.
**მერანი:** ნაჭყეპია, ჭინჭარაული, კვეკვესკირი, ბოლქვაძე (ქადაგიძე, 61), ცქიფურიშვილი, გ. ილურიძე, ხუჯაძე, დევიძე, ხუციშვილი (ბაჯელიძე, 61), კრავეიშვილი (სილაგავა, 51), კოშკაძე.
**გოლები:** 1-0 ზირაქიშვილი (44), 2-0 მიქაძე (59), 3-0, 4-0 ზირაქიშვილი (72 პ. 89).
**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი).

### ლოკომოტივი — კოლხეთი 1913 2–2

**ლოკომოტივი:** ასლანიძე, ონიანი, ცხადაძე, შელია (მანჭარაული,68), სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი, ბალაშვილი, ანჩაბაძე (პარამონოვი, 71), დათვაძე, კაიდარაშვილი, გ. შენგელია (გილაური, 46).
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, შავგულიძე, ქობულაძე, ლაღანიძე (ტორჩინავა, 23), შალამბერიძე, ფანჩულიძე, ე. გვასალია, მუმლაძე, კვირკველია, ნარსია (ჭანტურიძე, 46, ხუჭუა, 80).
**გოლები:** 0-1 ლაღანიძე (18), 1-1 შელია (21), 2-1 კაიდარაშვილი (41), 2-2 მუმლაძე (60).
**გააფრთხილეს:** გოროზია (24), შელია (61), ბალაშვილი (62), ფანჩულიძე (76).
**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი).

### ტორპედო — ვიტ ჯორჯია 1–1

**ტორპედო:** ზოიძე, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, მახვილაძე, ჯინჭარაძე (ჯანაშია, 54), დიდავა, გუჩუა (ხვადაგიანი, 71), არჩვაძე (ბობოხიძე, 90), იონანიძე, აშვეთია.
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, საჯაია (წუწუნავა, 81), ჭანკოტაძე, ინწკირველი, ლევან ნოზაძე (ფეიქრიშვილი, 90), დილმელაშვილი, ჯ. მუჯირი, ყიფიანი, გოგობერიშვილი, ადამია (ვ. გოჩაშვილი, 71), ლ. მელქაძე.
**გოლები:** 1-0 დიდავა (26), 1-1 გოჩაშვილი (90).
**გააფრთხილეს:** აბრამიძე, არჩვაძე, იონანიძე, აშვეთია, საჯაია, ნოზაძე, დილმელაშვილი, გოჩაშვილი, მელქაძე.
**მსაჯი:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი).

### სიონი — იბერია 1–0

**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ირემაშვილი, სიდამონიძე, სოლოლაშვილი, მინდიაშვილი, მოსეშვილი (ჩაგელიშვილი, 88), გოგოლაძე (ამბიძე, 75), გაბისონია, ბარნოვი, ისიანი (კ. მეტრეველი, 63).
**იბერია:** ცინაძე, ყურაშვილი (სანიკიძე, 63), შ. ლაცაბიძე, ამისულაშვილი, მიქელთაძე, გ. ნოზაძე, ჩაჩუა, ლაშა ხმალაძე, ჩომახიძე, გულორდავა, ივეჩიანი.
**გოლი:** 1-0 ამისულაშვილი (საკ. კარში, 56).
**გააფრთხილეს:** ჩაჩუა (8), კ. გოდერძიშვილი (12), ამისულაშვილი (60), გულორდავა (87).
**მსაჯი:** ა. ორდინიძე (ონი).

### დილა — თსუ 4–0

**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, თაყაძე (საყვარელიძე, 71), ლომიძე, ფეზუაშვილი (დ. მაისურაძე, 71), რევაზიშვილი, ხორგუაშვილი, ეჯოშვილი (ბოკერია, 80).
**თსუ:** სტურუა, ხარებავა, ებრალიძე, ბერიანიძე, არეშიძე, ზვ. გვაზავა, ზ. მეტრეველი, ახალაძე, მესხი, მერებაშვილი, ბ. ნოზაძე.
**გოლები:** 1-0, 2-0 ხორგუაშვილი (17,34 პ), 3-0 ეჯოშვილი (65), 4-0 (ბოკერია, 85).
**გააფრთხილეს:** მესხი (19), გვაზავა (32), ფეზუაშვილი (32), ახალაძე (56).
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

### გორდა — დინამო (ბთ) 1–1

**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბურნაძე, გელაძე (კიტეიშვილი, 65), ბერიძე, ლაშა სილაგაძე, მელაძე (მიშველიძე, 75), კ. ალადაშვილი, ჯუღელი, ჭელაძე, გ. მიქაძე.
**დინამო (ბთ):** ჭანტურია, ი. მახარაძე, მინდაძე, გველესიანი, მქავანაძე, ჩიჩუა, ღლონტი, ყულეჯიშვილი, მაჭუტაძე (აფხაზავა, 79), ქაცარავა, პაპიძე.
**გოლები:** 0-1 ღლონტი (79), 1-1 ჯუღელი (81).
**გააფრთხილეს:** ჭანტურია (58).
**მსაჯი:** დ. სანაია (სოხუმი).

## გათამაშების ცხრილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **I – VI ადგილები** | | | | | | |
| ტორპედო | 7 | 4 | 2 | 1 | 9-5 | 38 |
| დინამო თბ | 7 | 2 | 4 | 1 | 11-7 | 34 |
| ლოკომოტ. | 7 | 1 | 3 | 3 | 6-9 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 3 | 2 | 2 | 11-8 | 30 |
| კოლხ.-1913 | 7 | 2 | 1 | 4 | 8-12 | 23 |
| მერანი-91 | 7 | 1 | 2 | 4 | 1-11 | 18 |
| **VII – XII ადგილები** | | | | | | |
| დინამო (ბთ) | 7 | 3 | 3 | 1 | 8-3 | 26 |
| სიონი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-7 | 24 |
| დილა | 7 | 3 | 1 | 3 | 13-6 | 19 |
| გორდა | 7 | 3 | 1 | 3 | 9-10 | 19 |
| თსუ | 7 | 3 | 0 | 4 | 7-14 | 19 |
| იბერია | 7 | 0 | 1 | 6 | 5-19 | 3 |

7 მაისი. შევარდენის სტადიონი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი 17 წლამდელთა ნაკრებები

### საქართველო — აზერბაიჯანი 1–0

**საქართველო:** ჩალაძე, ა. კალაძე, ლომაია, კუტივაძე, მიქიაშვილი, კაპანაძე, კვახაძე, ხოჯავა, ყველაშვილი (ლუჭაშვილი 54), იაშვილი (უგრეხელიძე 72), ელიავა (ხმალაძე 19, ლალაძე 50).
**აზერბაიჯანი:** ქიარიმლი (ბაირამოვი 80), სალახოვი (იუსუფოვი 74), მეხრალიევი, აბასოვი (ბაგიროვი 79), მადათოვი, ველიევი (მირზოევი 65), ჰუსეინოვი, ზეინალოვი (ჯაბრაილოვი 77), აგაკიგიშევი, რაჯაბოვი (საფაროვი 80), გალიმოვი (ამირსალ-ზადე 80).
*გოლი:* 1-0 იაშვილი (69).
*გააფრთხილეს:* რაჯაბოვი (26), ჰუსეინოვი (33), მერხალიევი (52), იაშვილი (52), ლუჭაშვილი (57), კაპანაძე (72).
*მსაჯები:* ლაშა სილაგავა, ოთარ ხეცაძე, არსენ ნონიკაშვილი, ვასილ ელისაბედაშვილი (ყველა — საქართველო)
*დელეგატი:* ოთარ გუნთაძე (საქართველო).

# 9 მაისს, ქუთაისში

ქუთაისში, „ტორპედოს" სტადიონზე 9 მაისს დიდი საფეხბურთო დღეა. 15 საათზე ერთმანეთს საქართველოს და აზერბაიჯანის 19 წლამდელთა ნაკრებების მატჩი, 18 საათზე კი ამ ორი მეზობელი ქვეყნის ეროვნული ნაკრებების ამხანაგური შეხვედრა გაიმართება.

გთავაზობთ საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრებების შემადგენლობებს.

**საქართველოს ნაკრები**
**მეკარეები:** ირაკლი ზოიძე (ტორპედო), დავით ხმელიძე (როსტსელმაში, რუსეთი); **მცველები:** რევაზ ქემოკლიძე, ვალერი აბრამიძე, გივი დიდავა, სევასტი თოდუა, ლევან სილაგაძე (ყველა — ტორპედო), გიორგი შაშიაშვილი (დინამო, თბ), ედიკ საჯაია, გიორგი ჭანკოტაძე (ორივე — ვიტ ჯორჯია); **ნახევარმცველები:** ალექსანდრე გოგობერიშვილი, ლაშა ნოზაძე, გიორგი ყიფიანი (ყველა — ვიტ ჯორჯია), კახა გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), ვალტერ გუჩუა (ტორპედო); **თავდამსხმელები:** მიხეილ აშვეთია, ზურაბ იონანიძე (ორივე — ტორპედო), ლევან მელქაძე (ვიტ ჯორჯია).

**აზერბაიჯანის ნაკრები**
აზერბაიჯანის ნაკრების შემადგენლობაშიც 18 ფეხბურთელია, ქართველებთან საპაექროდ მთავარმა მწვრთნელმა იგორ პონომარიოვმა ამათ მოუხმო: ბადირ შუქუროვი (დინამო), ჯახანგირ ჰასან-ზადე (ნეფტჩი), ილხამ იადულაევი (ნეფტჩი), ფიზული მამედოვი (შაფა), ტარლან ახმედოვი (ნეფტჩი), მახმუდ ყურბანოვი (შამქირი), ბახტიარ მუსაევი (ნეფტჩი), ზაურ ტაგიზადე (შაფა), ემინ იმამალიევი (შაფა), ზამირ ალიევი (ნეფტჩი), ფარუხ ისმაილოვი (ნეფტჩი), მუბარიზ ორუჯევი (ვილიაში), ელჩინ რახმანოვი (შაფა), ასლან ქერიმოვი (შამქირი), ავთანდილ გაჯიევი (შაფა), რამიზ მამედოვი (შაფა), მეხმან იუნუსოვი (შამქირი), ვიდადი რზაევი (შამქირი).

19 წლამდელთა მატჩს გაუძღვება ბაქოელი არბიტრი ხაგანი მამედოვი, იგი თებერვალში საქართველო — უკრაინის ეროვნულ ნაკრებთა მატჩს სჯიდა. ხვალინდელ მატჩში მას ქართველი მსაჯები დაეხმარებიან: ასისტენტები ლევან მიქელაძე და კობა გაბრიაძე, მეოთხე მსაჯი გია კიკაჩეიშვილი.

ეროვნულ ნაკრებთა მატჩს ქართველი მსაჯები მოემსახურებიან: მთავარი მსაჯია მერაბ მალაღურაძე, ასისტენტები ზურაბ დოლიძე და გურამ ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი: ლევან მიქელაძე. ორივე მატჩის ინსპექტორია ანატოლი მილჩენკო.

## პირველი ლიგა. VII ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **I – VI ადგილები** | | | | | | |
| მილანი – მეტალურგი | | | | | | 4-1 |
| გურია-ლოკ2 – შუქურა | | | | | | 2-0 |
| ცხინვალი – სამგურალი | | | | | | 2-2 |
| გურია-ლოკ2 | 7 | 4 | 2 | 1 | 9-5 | 35 |
| მილანი | 7 | 4 | 1 | 2 | 13-4 | 34 |
| სამგურალი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-4 | 32 |
| მეტალურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-11 | 29 |
| ცხინვალი | 7 | 1 | 3 | 3 | 5-10 | 26 |
| შუქურა | 7 | 0 | 3 | 4 | 2-10 | 23 |
| **VII – XII ადგილები** | | | | | | |
| თბილისი – კოლხეთი (ხ) | | | | | | 0-2 |
| ოკეანე – თორი | | | | | | 1-0 |
| დინამო (ზ) – ივერია | | | | | | 0-3 |
| კოლხეთი (ხ) | 7 | 5 | 1 | 1 | 14-3 | 29 |
| თორი | 7 | 3 | 1 | 3 | 7-7 | 25 |
| ოკეანე | 7 | 3 | 3 | 1 | 8-7 | 22 |
| თბილისი | 7 | 4 | 0 | 3 | 7-6 | 21 |
| ივერია | 7 | 3 | 1 | 3 | 12-7 | 18 |
| დინამო (ზ) | 7 | 0 | 0 | 7 | 0-19 | 12 |


საქართველოს 17-წლიანთა ნაკრები

## სპარსელები საქართველოში

**ქუთაისში აზერბაიჯანის ნაკრებთან მატჩის შემდეგ გელა გომელაურის 19 წლამდელთა ნაკრებს კიდევ ორი ამხანაგური მატჩის გამართვა მოუწევს. საქართველოს ირანის ნაკრები ეწვევა და ორ მატჩს გამართავს ქართველ თანატოლებთან. პირველი მატჩი 12 მაისს ჩატარდება ბოლნისში, მეორეს თბილისი უმასპინძლებს. 15 მაისს, 15 საათზე ეროვნულ სტადიონზე ქართველი და ირანელი ჭაბუკები კიდევ ერთხელ მოუსინჯავენ ერთმანეთს მუხლის ძალას.**

# მატჩი — პირველი, გამარჯვება — პირველი!

კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდები ქართველმა გულშემატკივარმა პირველად იხილა. მანამდე ნაკრებმა კი ჩაატარა ორი ამხანაგური მატჩი გერმანიაში, მაგრამ გუშინდელი შეხვედრა 17 წლის ჭაბუკებისთვის მაინც გამორჩეული იყო. ისინი შინ პირველად ასპარეზობდნენ.

მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოვიდა. მეტოქეებს ნერვიულობა ეტყობოდა და თანაც ფეხბურთელებს შეთამაშება აკლდათ. განსაკუთრებით ეს მასპინძლებზე ითქმის. საქართველოს ნაკრები ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდა. მაგრამ გარკვეული შებოჭილობა გუნდს აშკარა საგოლე მომენტების შექმნის საშუალებას არ აძლევდა. სტუმრებიდან ჰუსეინოვი, აგაკი გიშევი და გალიმოვი გამოირჩეოდნენ მასპინძლებიდან კვახაძე, ხოჯავა და იაშვილი. პირველი ტაიმი თანაბარი ორთაბრძოლით და ნულოვანი ფრეთი აღინიშნა. მეტოქეებს რამდენჯერმე შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ არაზუსტ დარტყმებს, მცველთა და მეკარეთა საიმედო თამაში ენაცვლებოდა.

მეორე ტაიმში უფრო ხისტი თამაში გაჩაღდა. ერთ ეპიზოდში ფეხბურთელები წაკინკლავდნენ კიდეც, მაგრამ, სიტუაცია მსაჯთა დროულმა ჩარევამ განმუხტა. ჟორჟიკაშვილს შეცვლებმაც გაუმართლა. ლუჭაშვილის შემოსვლამ ქართველთა შეტევები უფრო მწვავე გახადა, რასაც გოლიც მოჰყვა. 69-ე წუთზე ლუჭაშვილი — იაშვილის კომბინაცია, იაშვილის ზუსტი დარტყმით დასრულდა და მასპინძლები დაწინაურდნენ. აზერბაიჯანელები შეეცადნენ თამაშის გათანაბრებას, ორჯერ მწვავედაც შეუტიეს ჩალაძის კარს, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლეს. ჰუსეინოვის უძლიერესი დარტყმა ხარიხამ აისხლიტა, მერე კი უკვე ჩალაძემ იმარჯვა და თავდამსხმელს წამით დაასწრო. საქართველოს ნაკრებმა პირველ შინაურ მატჩში პირველი გამარჯვება მოიპოვა, წინ კი სხვა მატჩებია, ამხანაგურიც და ოფიციალურიც. მერე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი, რომელსაც საქართველო უმასპინძლებს. ნაკრებს პერსპექტივა ნამდვილად აქვს, თუმცა, ამ ეტაპზე, სათამაშო პრაქტიკა აკლია. რაც უფრო მეტი იქნება ასეთი მატჩები, მით უკეთესი გუნდი შეიკვრება და მობილური გახდება. ოქტომბრამდე დიდი დროა და ამ შუალედის გამოყენება უფრო ნაყოფიერად შეიძლება.

მატჩის შემდეგ წარმომადგენლობითი პრესკონფერენცია გაიმართა, მთავარ მწვრთნელთა გარდა, მასში საქართველოსა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტები მერაბ ჟორდანია და ფუად მუსაევი მონაწილეობდნენ.

*კობა ჟორჟიკაშვილი:* „გერმანიაში გამართული მატჩებისგან განსხვავებით, ნაკრების შემადგენლობა საგრძნობლად შეიცვალა. მცველები ამ შემადგენლობით პირველად თამაშობდნენ ერთად. გვაკლდა პერსპექტიული მცველი ჭელიძე. გვინდა ზაფხულის პერიოდი საფუძვლიანად გამოვიყენოთ. გუნდი შევავსოთ. ვგეგმავთ პალანგისა და სომხეთის საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას".

*მერაბ ჟორდანია:* „მივესალმები ჩვენს სტუმრებს, ვიმედოვნებ ეს მატჩები ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნება. ბატონი მუსაევი საფეხბურთო სამყაროში ავტორიტეტული პიროვნებაა და ათი წელია აზერბაიჯანულ ფეხბურთს უდგას სათავეში. ფიფას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომიტეტის წევრია. ხშირი კონტაქტები მეზობლებთან ჩვენი ქვეყნების ფეხბურთს უფრო განავითარებს. სათამაშო პრაქტიკა აუცილებელია, რათა ნაკრების თამაში დაიხვეწოს. ამიტომ, ოქტომბრამდე ნაკრებს სპარინგებს კიდევ მოვუწყობთ. შესარჩევ მატჩებს შინ გავმართავთ და, რა თქმა უნდა, ნაკრებსაც ფინალურ ეტაპზე გასვლას დავუსახავთ მიზნად".

*კობა ჟორჟიკაშვილი:* „ფეხბურთელებს ნერვიულობა ეტყობოდათ, მატჩმა დადებითიც და უარყოფითიც დაგვანახვა. ასეთი დონის ხშირი შეხვედრები, ცხადია, ნაკრებს წაადგება, მოთამაშეებს ერთმანეთს უკეთ გააცნობს, საერთაშორისო რანგის მატჩებს შეაჩვევს და გამოცდილებას შესძენს".

*ფუად მუსაევი:* „ჩვენთვის აქ თამაში ბედნიერებაა. ასეთი მინდორი აზერბაიჯანში არ გვაქვს. საერთაშორისო მასშტაბის მატჩების ნაკლებობას ჩვენც განვიცდით. ამიტომ ურთიერთობების გაღრმავება აუცილებელია. აზერბაიჯანში აქცენტი ბავშვთა და იუნიორთა ფეხბურთის განვითარებაზეა გადატანილი. 17 და 19 წლამდელთა ნაკრებები იმ კლუბის ბაზაზეა დაკომპლექტებული, რომელსაც აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაცია კურირებს. 17 წლამდელთა ნაკრებში „შაფარის" რვა ფეხბურთელი თამაშობდა. მომავალზე ფიქრი აუცილებელია".

მასპინძლებმა და სტუმრებმა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრეს. აზერბაიჯანელთა ვიზიტი ამ შეხვედრით არ ამოწურულა, წინ კიდევ ორი მატჩი გვაქვს ქუთაისში.

მკითხველს კი შევახსენებთ, რომ ამ ასაკში საქართველოს ნაკრების მეტოქეები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბოსნია-ჰერცოგოვინისა და ისრაელის ნაკრებები იქნებიან. შესარჩევი მინიტურნირი თბილისში 15-19 ოქტომბერს გაიმართება.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

## აზია

### I ჯგუფი

ომანი – ლაოსი 7-0
სირია – ფილიპინები 5-1

1. ომანი — 6 ქულა (2 თამაშიდან), 2. სირია — 6 (2), 3. ფილიპინები — 0 (2), 4. ლაოსი — 0 (2).

### VII ჯგუფი

ტაივანი – უზბეკეთი 0-4
იორდანია – თურქმენეთი 1-2

1-0 აბუ ტოუკი (7), 1-1 ბოგოლაძე (25), 1-2 კურბანგელდი (85).

1. უზბეკეთი — 13 ქულა, 2. თურქმენეთი — 9, 3. იორდანია — 7, 4. ტაივანი — 0

უზბეკეთის ნაკრები გავიდა შემდეგ ეტაპზე

## აფრიკა

### I ჯგუფი

ანგოლა – კამერუნი 2-0
ტოგო – ზამბია 3-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 6 | 5 | 0 | 1 | 10-2 | 15 |
| ანგოლა | 6 | 3 | 2 | 1 | 9-7 | 11 |
| ზამბია | 6 | 2 | 1 | 3 | 8-7 | 7 |
| ტოგო | 5 | 1 | 2 | 2 | 7-10 | 5 |
| ლიბია | 5 | 0 | 1 | 4 | 4-12 | 1 |

### II ჯგუფი

ნიგერია – ლიბერია 2-0
სიერა ლეონე – განა 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერია | 6 | 4 | 0 | 2 | 8-6 | 12 |
| ნიგერია | 6 | 3 | 1 | 2 | 8-3 | 10 |
| სუდანი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-5 | 9 |
| განა | 5 | 1 | 2 | 2 | 7-5 | 5 |
| ს.ლეონე | 6 | 1 | 1 | 4 | 2-11 | 4 |

### III ჯგუფი

ალჟირი – მაროკო 1-2
ეგვიპტე – სენეგალი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 6 | 3 | 3 | 0 | 7-2 | 12 |
| სენეგალი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-2 | 9 |
| ეგვიპტე | 5 | 2 | 3 | 0 | 7-3 | 9 |
| ალჟირი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-13 | 4 |
| ნამიბია | 5 | 0 | 2 | 3 | 1-9 | 2 |

### IV ჯგუფი

მადაგასკ. – ტუნისი 0-2
კონგო – დრ. კონგო 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 5 | 4 | 1 | 0 | 13-3 | 13 |
| კტდივუარ. | 4 | 3 | 1 | 0 | 9-4 | 10 |
| დრ. კონგო | 6 | 2 | 1 | 3 | 5-12 | 7 |
| კონგო | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |
| მადაგასკ. | 5 | 1 | 0 | 4 | 4-7 | 3 |

### V ჯგუფი

ს. აფრიკა – ზიმბაბვე 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. აფრიკა | 4 | 4 | 0 | 0 | 7-2 | 12 |
| ზიმბაბვე | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| ბურკინაფასო | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 4 |
| მალავი | 4 | 0 | 1 | 3 | 4-9 | 1 |



ს. აფრიკა – ზიმბაბვე 2-1



## სერგეი რებროვი უკრაინის ნაკრებს ვერ დაეხმარება

ნორვეგიისა და უელსის წინააღმდეგ, ივნისის დასაწყისში, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში უკრაინელთა შემადგენლობაში ვერ ითამაშებს თავდამსხმელი სერგეი რებროვი, რომელმაც ტრავმა მიიღო.

# ზოგჯერ ჯუჯებიც იმარჯვებენ

ჯუჯა სახელმწიფოები: სან-მარინო, ლიხტენშტაინი, ანდორა, ლუქსემბურგი, ფარერის კუნძულები სისტემატურად მონაწილეობენ მსოფლიოსა და ევროპის პირველობების შესარჩევ შეჯიბრებებში. ნუ ვიფიქრებთ, რომ ისინი უამედოდ აგებენ ყველა მატჩს, გავიხსენოთ ჩინური გამოთქმა: „ზოგჯერ ბრმა ქათამიც პოულობს მარცვალს“.

ლუქსემბურგელებს არა აქვთ იმაზე უკეთესი მოსაგონარი, ვიდრე საოცარი წარმატება ჰოლანდიელებთან ევროპის 1964 წლის ჩემპიონატის მერვედფინალურ მატჩში.

ჰოლანდიელები აქამდეც სისტემატურად ხვდებოდნენ ლუქსემბურგელებს, როგორც წესი, უძლიერეს მოთამაშეებს ასვენებდნენ, გამოჰყავდათ მეორე შემადგენლობა, და, ცხადია, ყოველთვის იგებდნენ.

ამჯერად, დასაკარგი რა გვაქვსო და ლუქსემბურგელები დათანხმდნენ ორივე მატჩი ჰოლანდიაში გამართულიყო. ჰოლანდიელებმა გაითვალისწინეს მომენტის მნიშვნელობა და გადაწყვიტეს უძლიერესი შემადგენლობით ეთამაშათ. როცა ნუნინგამ უკვე მეხუთე წუთზე გახსნა ანგარიში, 36 ათასი მაყურებელი, რომელიც ამსტერდამის სტადიონზე მოვიდა, უკვე გოლების წვიმას ელოდა. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. ლუქსემბურგელებმა მაინც გაათანაბრეს ანგარიში, მასპინძლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ: 1-1.

საპასუხო მატჩი როტერდამში გაიმართა, რომელიც ლუქსემბურგის ნაკრების მინდვრად ითვლებოდა. დასაწყისში ლუქსემბურგელთა კარი ძელმა იხსნა. შემდეგ მეტოქეებმა თითო გოლი გაიტანეს. მეორე ტაიმში ჰოლანდიელები გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ მეტად ძლიერად თამაშობდა მეკარე ნიკო შმიტი, რომელმაც სამი უძლიერესი დარტყმა მოიგერია. შემდეგ მხარი იღრძო, მაგრამ მინდვრიდან არ გასულა. 70-ე წუთზე დიმერმა ჰოლანდიელთა კარში გადამწყვეტი გოლია გაიტანა – 2-1. ეს, თუ გნებავთ, ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი სენსაცია იყო!

თუმცა არანაკლებ სენსაციად უნდა ჩაითვალოს ფარერის კუნძულებისა და ავსტრიის ნაკრებების მატჩის შედეგი. იგი 1990 წელს შედგა, ფარერელები პირველ ოფიციალურ მატჩს ატარებდნენ, მაგრამ, რადგან ისეთი სტადიონი არა ჰქონდათ, რომელიც უეფას მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა, სათამაშოდ შვედური ქალაქი ლანდსკრუნა აირჩიეს. ამ დროს ავსტრიელების თავდამსხმელებს პოლსტერსა და როდაქსს ევროპაში დიდი სახელი ჰქონდათ. ესპანურმა კლუბებმა „სევილიამ“ და „ატლეტიკომ“ მათში 8 მილიონი დოლარი გადაიხადეს. 5-6 გოლს ყოველთვის გაიტანენო – ფიქრობდნენ ავსტრიელები. ფარერების კაპიტანმა იაკობსენმა, რომელიც კბილის ტექნიკოსად მუშაობდა (ფეხბურთი მას რას აძლევდა) და ცოტაოდენ ფულს ფოლკლორული სიმღერების შესრულებითაც შოულობდა, თქვა: „ვიცით, რომ სასტიკად წავაგებთ, მაგრამ მაინც ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს ქვეყანას წარმოვადგენთ“.

ეს მატჩი ფარერელებმა მოიგეს – 1-0. ეს ერთადერთი გოლი ტორკილ ნილსენმა 63-ე წუთზე გაიტანა.

საფრანგეთის ნაკრები რომ საფრანგეთის ნაკრებია, მაშინ მსოფლიოს ჩემპიონი (და ცოტა ხანში ევროპის ჩემპიონიც!) იმანაც კი კინაღამ თავს ლაფი დაისხა ანდორელებთან შეხვედრაში. მანამდე ანდორელებმა უმძაფრესი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსებს, რომლებმაც ძლივძლივობით მოიგეს. ახლა „ჯუჯებთან“ ვერაფერს აწყობდნენ მსოფლიო ჩემპიონები. 85-ე წუთზე მსაჯმა ნამდვილად „გამოიგონა“ 11-მეტრიანი, და ფრანგებმა, როგორც იქნა, გაიტანეს ერთადერთი ბურთი!

80-იანი წლების დასაწყისში ლიხტენშტაინის ნაკრები ჩინელებს შეხვდა ამხანაგურ მატჩში და გაიმარჯვა – 2-0. ქვეყანამ, რომელსაც 30 ათასი მოსახლეობა ჰყავს, დაამარცხა მილიარდიანი გოლიათი! 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სანმარინოელმა გვალტიერომ უკვე მეცხრე წამზე გახსნა ანგარიში ინგლისელებთან. რა ვუყოთ, რომ მატჩი მაინც ინგლისელებმა მოიგეს.

ბივი თორელი

## უეფას თასზე გერმანიიდან სამოყვარულო გუნდი გავიდა

ესაა პირველი შემთხვევა, როცა გერმანიიდან უეფას თასზე იასპარეზებს სამოყვარულო გუნდი. ბერლინის „უნიონმა“ ეს უფლება მას შემდეგ მოიპოვა, რაც ამ ქვეყნის თასის ფინალში გავიდა, სადაც „შალკეს“ შეხვდება. „შალკე“ დღეს ლიდერია ბუნდესლიგაში და დარჩენილი მატჩების წაგების შემთხვევაშიც კი IV ადგილს არ გასცდება. ასე რომ, „უნიონს“ მწვანე გზა ეხსნება უეფას თასისკენ.

## ევროპის პირველობა ესპანელმა ჭაბუკებმა მოიგეს

16 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის პირველობა, რომელიც დამთავრდა ინგლისში, მოიგეს ესპანელმა ფეხბურთელებმა, მათ ფინალში ფრანგი თანატოლები დაამარცხეს 1-0.



## კლუივერტი — „რეალში“

ესპანური პრესის ცნობით, „ბარსელონისა“ და ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი პატრიკ კლუივერტი მადრიდის „რეალში“ აპირებს კარიერის გაგრძელებას და უკვე ჰქონდა კიდეც ამ მოლაპარაკება „სამეფო კლუბთან“. იგი მადრიდში გაცილებით მეტს მიიღებს, ვიდრე „ბარსელონაში“, კერძოდ კი, 5 მილიონ დოლარს წელიწადში.

# «ვერასოდეს!»..

„შეძლებს თუ არა მადრიდის „რეალი“ გასვლითი მატჩი მიუნხენში მოუგოს „ბაიერნს“? კითხულობს ესპანური გაზეთი „მარკა“ და თვითონვე პასუხობს: „ვერასოდეს!“ მისი მოსაზრებით, გუნდი, რომელმაც უკვე გაიმარჯვა სტუმრად, არავითარ შემთხვევაში აღარ დათმობს ამ უპირატესობას. უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი „რეალის“ მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე, რომელიც მეტოქეთა შესაძლებლობებს თანაბრად აფასებს: 50:50. ამასთან, დელ ბოსკემ განაცხადა, რომ გამოჯანმრთელდა თავდამსხმელი ფერნანდო მორიენტესი, რომელზეც გარკვეულ იმედებს ამყარებს. ფრთხილობს „ბაიერნის“ მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი, რომელიც ამბობს, რომ მისი გუნდი ფსიქოლოგიურად მოქანცა ჯერ მატჩმა მადრიდში, ამ შაბათს კი შეხვედრამ ლევერკუზენში, სადაც მიუნხენელებმა ანგარიშით 1-0 მოუგეს ადგილობრივ „ბაიერს“. მცირე ტრავმები აწუხებთ მეჰმედ შოლსა და კარსტენ იანკერს.

რაც შეეხება „ვალენსიასა“ და „ლიდს იუნაიტედის“ შეხვედრას, მას, ინგლისელთა მწვრთნელ დევიდ ო'ლირის აზრით, მოიგებს ის, ვისაც მტკიცე ნერვები ექნება. ოპტიმისტურად არის განწყობილი ესპანელთა მწვრთნელი ექტორ კუპერი. მისი აზრით, „ვალენსია“, რომელიც საკუთარ მინდორზე საერთოდ არ აგებს, ახლა ითამაშებს სულ სხვანაირად, ვიდრე ლიდსში, შემტევი სტილით წარმართავს შეხვედრას. კუპერს მხოლოდ ის ანაღვლიანებს, რომ ძირითადი შემადგენლობის ორი მოთამაშე დისკვალიფიკაციის გამო ვერ მიიღებს შეხვედრაში მონაწილეობას.

## ვისაც ფინანსები აქვს, უმაღლეს ლიგაში უშვებენ

სომხეთის ფეხბურთის ფედერაციამ, რომელსაც კლუბებთან დიდი უთანხმოება აქვს, გადაწყვიტა ნაბიჯები გადადგას მათთან ურთიერთობის მოსაგვარებლად. კლუბებს შეთანხმება არა სურთ იქამდე, სანამ ფედერაციის პრეზიდენტი სურენ აბრამიანი, არ გადადგება. ამის საპასუხოდ, ჯერ ფედერაციამ ხელი შეუწყო რომ აღდგენილიყო ადრე დაშლილი კლუბები „პიუნიკი“ და „ბანაცი“, შემდეგ კი განაცხადა, რომ უმაღლეს ლიგაში დაუშვებს ყველას, ვინც კი გარკვეულ ფინანსურ პირობებს შეასრულებს.

## მილან მილანიჩს თამაშზე დასწრებას უკრძალავენ

ცნობილ იუგოსლავიელ სპეციალისტ მილან მილანიჩს, რომელმაც 25 წელი იმუშავა ფიფაში, და, ცხადია, მშობლიურ ფეხბურთსაც დიდი ამაგი დასდო, ახლა თამაშებზე დასწრებასაც კი უკრძალავენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი ქვეყნის ნაკრები თამაშობს.

— ავადმყოფი გული მაქვს, ჰიუსტონში ოპერაცია გამიკეთეს და ახლა ექიმებმა თამაშზე დასწრება ამიკრძალეს. ერთი სიტყვით, იმ მხატვარს დავემსგავსე, რომელმაც მხედველობა დაკარგა.

## „სჯობს ცარიელი ტრიბუნები...

... ვიდრე ისეთი გულშემატკივრების დასწრებით ითამაშო, როგორიც ჩვენ გვყავს“ — აცხადებს იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელი მატეა კეჟმანი. მას მოჰყავს შემთხვევა, როცა ბელგრადში შვეიცარიელებთან მატჩის წინ 36 ათასი მაყურებელი სტვენით შეხვდა საკუთარი ქვეყნის ჰიმნს.

— ჰიმნმა ჩვენ უნდა აღგვაფრთოვანოს და სათამაშოდ განგვაწყოს, მაშინ კი, როცა მას უსტვენენ?... თამაშში ჩვენ არავინ გვიჭერდა მხარს, ზოგი რატომღაც ბელგრადის „პარტიზანს“ აქებდა, ზოგი „ცრვენა ზვეზდას“, ჩვენ კი...

## როცა ბეკენბაუერს არ მოსწონს

ამ ბოლო ხანებში ფრანც ბეკენბაუერმა ძალიან ამოიჩემა ოლივერ ბირჰოფი, რომელსაც მართლაც წარუმატებელი სეზონი აქვს და ეტყობა, „მილანსაც“ გამოეთხოვება. ჯერ ნაკრების კაპიტნობა დაატოვებინა...

რა თქმა უნდა, ბეკენბაუერი ნაკრების მწვრთნელი არ არის, მაგრამ მისი სიტყვა გერმანულ ფეხბურთში ბევრს ნიშნავს. აი ბირჰოფის თამაშის ახალი მისეული შეფასება: ნაკრებში თამაშის სიმძიმე ოლივერისთვის უკვე აუტანელია.



## კამაჩოს გასაჭირი

როგორც ესპანელი კომენტატორები თვლიან, მათი ნაკრების თამაში დღეისათვის ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს იმის მიუხედავადაც კი, რომ ნაკრები ლიდერობს მსოფლიო პირველობის მეშვიდე (არც ისე ძლიერ!) შესარჩევ ევროპულ ჯგუფში და ამხანაგურ მატჩში სძლია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს — ფრანგებს — 2-1.

— ეს არაფერს ნიშნავს, ნაკრების თამაში სრულიად უსახურია — წერენ მიმომხილველები, რომლებიც გამუდმებით თავს ესხმიან ხოსე ანტონიო კამაჩოს.

სურათზე: კამაჩო

## მსაჯს ნუ აგინებ, არავინ გაპატიებს

უეფა აუცილებლად დასჯის შვეიცარიელთა არგენტინელ მწვრთნელ ენცო ტროსეროს, რომელიც მსაჯის გინებისათვის იუგოსლავიელებთან მატჩში კუთვნილი ადგილიდან ტრიბუნებზე „გადაანაცვლეს“. კიდევ ერთი დარღვევა კი ის იყო, რომ ტროსერომ ტელევიზიის ერთი თანამშრომელი გააგზავნა თავის თანაშემწესთან, რათა შეეცვალა შაპიუზა და მის ნაცვლად თამაშში ვეგა ჩაება.

## ბერეზოვსკის აღარავინ იწვევს

იმის გამო, რომ ცნობილ მეკარე ბერეზოვსკის სომხეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვარუჟან სუქიასიანთან. უთანხმოება მოუვიდა, მოსკოვის „ტორპედოს“ გოლკიპერს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში აღარ იწვევენ. ეს მაშინ, როცა ახალი ძირითადი მეკარე ამბარცუმიანი დაშავებულია, აბრამიანი კი გუნდს ვერაფრით დაეხმარა ჯერ საშინაო მატჩში უელსელებთან (2-2), შემდეგ კი ვარშავაში პოლონელებთან — 0-4.

## სამიდან ხუთამდე

ამისათვის იტალიური კლუბები ბევრს იბრძოდნენ, და, დახეთ, მიზანსაც მიაღწიეს. აქამდე თითოეულ იტალიურ კლუბს შეეძლო სამი ფეხბურთელი ჰყოლოდა იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ევროპის კავშირში არ შედიან. საამისოდ იტალიელები სხვადასხვა „ეშმაკობაზეც“ კი მიდიოდნენ, მოთამაშეებს პასპორტებს უცვლიდნენ, მათ იტალიურ „ძირებს“ სწავლობდნენ, რათა სხვებისათვის ადგილი გაენთავისუფლებინათ. ამას არაერთი უსიამოვნება მოჰყვა, ზოგჯერ კი საქმე სასამართლომდეც მივიდა.

ახლა ეს სიძნელეები უკვე ხელის ერთი დაკვრით მოიხსნა. უეფამ იტალიურ კლუბებს ნება დართო სამის ნაცვლად ხუთი მოთამაშე ჰყავდეთ ისეთი ქვეყნებიდან, რომლებიც ევროკავშირში არ შედიან.

თუმცა, თვლიან, რომ ეს დადგენილება შეიძლება დროებითი აღმოჩნდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# თედი შერინგემი — მეორე ტაიმის მოთამაშე

34 წლის ედვარდ პოლ (თედი) შერინგემი დღესაც შეუცვლელია „მანჩესტერ იუნაიტედში“, იმ გაგებით, რომ, როცა გუნდს უჭირს, მეორე ტაიმში მინდორზე გამოდის შერინგემი და შეუძლია მდგომარეობის გამოსწორება. ასეთი კი უამრავი შემთხვევა ყოფილა...

— ზოგჯერ გადავხედავ ხოლმე ჩემს კარიერას და ერთ დასკვნამდე მივდივარ: კარგი ფეხბურთელი ვარ — ეს სიტყვები სწორედ შერინგემს ეკუთვნის.

შერინგემი დაიბადა 1966 წლის 2 აპრილს. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, რატომ ეძახიან მას თედის, ეს ხომ შემოკლებული თეოდორია, როცა სინამდვილეში ედვარდ პოლი ჰქვია. თედი მეტსახელი გახლავთ. თამაშობდა „მილუოლში“, „ნოტინგემ ფორესტსა“ და „ტოტენჰემ ჰოტსპურში“. 1997 წელს მიიწვიეს „მანჩესტერ იუნაიტედში“, სადაც მწვრთნელ ალექს ფერგიუსონის ჩანაფიქრით, ერიკ კანტონა უნდა შეეცვალა, რომელმაც გუნდი დატოვა.

თედი თავისებური მოთამაშეა. მასზე წერენ, რომ არა აქვს არც მაიკლ ოუენის სისწრაფე, არც თავით თამაშის ისეთი უნარი, როგორითაც დუაიტ იორკი გამოირჩევა, არც ალან შირერის სათამაშო სითამამე თუ სითავხედეც კი. ამის მიუხედავად, უკვე რამდენი წელია, რაც იგი ინგლისური ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერია. მეტ გოლს გაიტანდა, უფრო ხშირად რომ თამაშობდეს. მინდორზე ძალიან იოლია მისი სხვა ფეხბურთელებისგან გამორჩევა. თითქოს სძინავსო, თითქოს მისთვის სულ ერთია, რა მოხდება თამაშში. საინტერესოა, რომ, როცა შეხვედრა იწყება, შთაბეჭდილება არ იცვლება. რა ხდება? კვლავ სძინავს, თამაშში მონაწილეობას არ იღებს. სადღაც მეტოქის კარის სიახლოვეს, დადის აჩრდილი, რომელიც არ ემუქრება... კარს. როგორ გინდათ აიტანოთ ეს ფეხბურთელი. შერინგემი ხომ მოდუნებულია და მოდუნებული. მცველებიც დუნდებიან. მას აინუნშიც აღარ აგდებენ. იყოს აქ, კარის სიახლოვეს, რისი გამკეთებელია? მაგრამ ეს არის თავისებური ჰიპნოზი: შერინგემს კი არ სძინავს, იგი მეტოქეებს აძინებს. აი, ნახევარმცველმა, ბოლოს და ბოლოს, ბურთი თედის მიაწოდა. მას არ უყვარს ბევრი ლაპარაკი: მოკლე გარბენი, ცრუ მოძრაობა და გოლი. ტაბლოზე აინთება: „შერინგემი №10“. და რას ფიქრობთ, „აჩრდილმა“ კვლავ ჩამოიძინა. როდის გაიღვიძებს? ვინ იცის, შეიძლება 10, შეიძლება 20 წუთის შემდეგ. როცა კუთხური ინიშნება, შერინგემი კვლავ გამოცოცხლდება ხოლმე, იცოცხლეთ, თამაშობს თავით, ურტყამს დიდი სიზუსტით.

განთქმული მწვრთნელი ბობი რობსონი თედის ინგლისში ყველაზე ვერაგ ფეხბურთელს უწოდებს.

როცა კანტონამ „მანჩესტერ იუნაიტედი“ დატოვა, მის ნაცვლად, როგორც მოგახსენეთ, შერინგემი მიიწვიეს. ეს ბევრს გაუკვირდა კიდეც. სად ალექს ფერგიუსონის სათამაშო კონცეფცია და სად შერინგემის. მაგრამ მრავალნაცადმა მწვრთნელმა კარგად იცოდა, რას აკეთებდა. რა თქმა უნდა, თედი კანტონას ვერ შეცვლიდა, ისე კი, გუნდს ნამდვილად გამოადგა. მართალია, 1998 წლიდან, როცა „მანჩესტერ იუნაიტედში“ ახალი თავდამსხმელი დუაიტ იორკი გამოჩნდა, შერინგემი ძირითადად სათადარიგო მოთამაშე გახდა, მინდორზე მეორე ტაიმში გამოდიოდა, თუმცა კვლავინდებურად ბევრი გოლი გაჰქონდა.

ისე კი, თედი „მანჩესტერ იუნაიტედში“ რამდენიმე ვარსკვლავის ჩრდილში აღმოჩნდა. კვლავ ბევრს წერდნენ დევიდ რობერტ ბექჰემსა და მის მომღერალ ცოლზე, ხოტბას ასხამდნენ „ცხრასა და ცხრამეტს“ (ენდრიუ ალექსანდრ (ენდი) კოულსა და დუაიტ იორკს), ძმებს გარი ალექსანდრ და ფილიპ (ფილ) ნევილებს, დაუღალავ პოლ სქოულზს. თუ რამე სიტყვები რჩებოდათ, ამას უკვე შერინგემზე ხარჯავდნენ. ეს მაშინ, როცა თედისთვის ძეგლიც კი უნდა აეგოთ. ის არ იყო, რომელმაც მიუნხენის „ბაიერნს“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში თითქმის უკვე გერმანიაში გასამგზავრებლად გამზადებული თასი ხელიდან გამოგლიჯა?! მარტო ეს გოლი რომ გაეტანა და „მანჩესტერ იუნაიტედში“ მთელი ეს ხუთი წელი მეტი არაფერი გაეკეთებინა, თედი მაინც სამუდამოდ შევიდოდა ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში.

თედი 183-სმ სიმაღლისაა და 78 კგ იწონის. ასაკი (თუ მის უცნაურ სათამაშო მანერას არ გავითვალისწინებთ) არ ეტყობა. შესაძლოა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი დატოვოს, მაგრამ ფეხბურთიდან წასვლას უახლოეს წლებში ნამდვილად არ აპირებს.

აი ინგლისის ნაკრები კი, სადაც ბევრი გოლი გაიტანა, სამუდამოდ დაატოვებინეს და ამაში მთლიანად თვითონ არის დამნაშავე. ყველამ იცის, რომ შერინგემს უყვარს გადაკვრა. ეს, პირველ რიგში, ცხადია, ნაკრების ხელმძღვანელებმა იცოდნენ და ფეხბურთელს აფრთხილებდნენ კიდეც. როცა ინგლისელები მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატისათვის ემზადებოდნენ, შერინგემმა თავისი არ მოიშალა და ერთ-ერთ ცნობილ რესტორანში შეუხვია. ეს ფაქტი საყოველთაოდ ცნობილი გახდა, გაზეთებმაც გამოაჭენეს და ნაკრებიც უყოყმანოდ დაატოვებინეს. გინდა მეორე ტაიმის მოთამაშე ყოფილიყო, და, თუ გნებავთ, მთელი მატჩისაც... ერთსაც ამბობდნენ: მისი თავიდან მოცილებით მაიკლ ოუენს გზა გაეხსნებაო.



თედი შერინგემი (უკანა პლანზე)

დიახ, თითქოს დიდი სიბეჯითით არ გამოირჩევა და სვამს კიდეც, მაგრამ შერინგემი არც გაუნათლებელი გახლავთ და არც გონებაშეზღუდული. დიდი ბიბლიოთეკა აქვს, ბევრს კითხულობს, ამჯობინებს წიგნებთან ჰქონდეს საქმე და არა ადამიანებთან. დიახ, პირქუშია, მაგრამ ასეთია და რაღა გაეწყობა. შერინგემს ძალიან უყვარს ინგლისელი კლასიკოსი მწერლები — დიკენსი და თეკერეი, თუმცა თანამედროვეებსაც აფასებს. ერკვევა პოეზიასა და მხატვრობის საკითხებში.

**გივი თორელი**

# სინიშა მიხაილოვიჩი — იუგოსლავიელთა კაპიტანი

32 წლის სინიშა მიხაილოვიჩი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იუგოსლავიელი ფეხბურთელია. იგი ნაკრების ყველა მატჩში მონაწილეობს, რომის „ლაციოს“ შემადგენლობაში კი სკუდეტოსათვის იბრძვის.

1989 წელს მიხაილოვიჩს დებიუტი ჰქონდა და ქვეყნის ერთ-ერთ მოწინავე კლუბში — ნოვი სადის „ვოივოდინაში“ პირველივე წელს გასაოცარ წარმატებას მიაღწია — ჩემპიონი გახდა. ამის შემდეგ სინიშა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში“ მიიწვიეს, სადაც კიდევ ორჯერ გახდა იუგოსლავიის ჩემპიონი, 1991 წელს ჯერ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს დაეუფლა, შემდეგ კი საკონტინენტთაშორისო თასსაც. ეს ხომ ახალგაზრდა ფეხბურთელისათვის ოცნებების განხორციელება და ნამდვილი ტრიუმფი იყო. ასე ერთბაშად ამდენი წარმატება იშვიათად რომ ვინმეს ჰქონია.

1992 წლიდან მოყოლებული, მიხაილოვიჩი იტალიაში თამაშობს. დასაწყისში იგი გამოდიოდა „რომაში“, შემდეგ გენუის „სამპდორიაში“. 1998 წლიდან „ლაციოშია“, რომლის შემადგენლობაში „სკუდეტოს“ დაეუფლა. აქ მან სახელი გაითქვა როგორც საჯარიმო დარტყმის ჩინებულმა შემსრულებელმა, შესაძლოა, მსოფლიოში საუკეთესომაც კი. დიდხანს შუა ხაზზე გამოდიოდა, მაგრამ შემდეგ შვედმა სვენ-გორან ერიქსონმა ჩათვალა, რომ სჯობდა მიხაილოვიჩს ლიბეროს როლი შეესრულებინა. ეს ჯერ კიდევ „სამპდორიაში“ მოხდა, შემდეგ კი ერიქსონიცა და მიხაილოვიჩიც „ლაციოში“ აღმოჩნდნენ.

ფეხბურთის მინდორზე მიხაილოვიჩს მრავალრიცხოვანი შეხლაშემოხლა მოუვიდა და მას სკანდალური მოთამაშის რეპუტაციაც კი აქვს. მაგრამ ჰყავს ერთი მეგობარი, რომელსაც დაუახლოვდა... ჩხუბის შემდეგ! ეს არის განთქმული რობერტო მანჩინი. რამდენიმე წლის წინათ, როცა ეს ფეხბურთელები „სამპდორიაში“ თამაშობდნენ, მანჩინი გუნდში დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა და ვინმესაგან სიტყვით შებრუნებას, საერთოდ, ვერ იტანდა. ერთ-ერთ ვარჯიშზე მანჩინის მიხაილოვიჩის მოქმედება არ მოეწონა და მას მუშტებით ეცა, მაგრამ სინიშა მას სრულიადაც არ შეუშინდა. ყველას ისე ეგონა, რომ ამ აყალმაყალის შემდეგ იუგოსლავიელს „სამპდორიაში“ არავინ გააჩერებდა, მაგრამ ეს საქმე მოულოდნელად დასრულდა. რამდენიმე თვის განმავლობაში დავიდარაბის შემდეგ მანჩინი და მიხაილოვიჩი შერიგდნენ, და საუკეთესო მეგობრებიც კი გახდნენ, ერთად სადილობდნენ და ერთად სეირნობდნენ.

ავიღოთ თუნდაც ისტორია, რომელიც მიხაილოვიჩს ჰოლანდიელ დენის ბერხკამპთან გადახდა მინდორზე, მათი დაპირისპირების შემდეგ მიხაილოვიჩი წაიქცა, ბერხკამპმა კი უკვე წაქცეულს ფეხი დაუნდობლად ჩაარტყა. სინიშას უნდოდა თამაშის ბოლომდე ჰოლანდიელისათვის სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ ამის საშუალება არ მიეცა. მაშინ თამაშის შემდეგ ჰოლანდიელების გასახდელისაკენ გაეშურა, რათა აქ მაინც ენახა თავისი მეტოქე. ბერხკამპმა იგრძნო, რომ შეიძლებოდა დიდ უსიამოვნებას გადაეყროდა, ამიტომ მეორე გასასვლელიდან გავიდა და ასე შეუმჩნევლად დატოვა სტადიონი, მაშინ სინიშამ მას კლარენს ზეედორფის მეშვეობით ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „ფეხბურთს კიდევ სამოთხ წელს ვითამაშებ, ისე რომ, სადმე აუცილებლად შევხვდებით. ისე რომ, შენი „ვალი“ მაქვს.

დრო ყველაფერს ჰკურნავს. საქმე შემდეგში ანგარიშსწორებამდე არ მისულა.

ზოგჯერ სინიშას უკმაყოფილება საკუთარი გუნდის წევრებთანაც მოსდის. ერთ-ერთ მატჩში მეკარე ლუკა მარკეჯანიმ და მიხაილოვიჩმა კინაღამ მუშტი-კრივიც კი გამართეს.

— მარკეჯანი, გოლი რომ გაგვიტანეს, მეცა და და საყვედურებით ამავსო. მთელი სტადიონი შემოგვცქეროდა. მტყუანიც რომ ვყოფილიყავი, როგორ შეიძლებოდა ასე მოქცევა. გასახდელში მაინც მოვრიგდით, მარკეჯანიმ აღიარა, რომ არაკორექტულად მოიქცა. ძალიან ძნელია თავის შეკავება, როცა პულსი 180-ს აღემატება და ემოციები მოგეძალება, მაგრამ ჩვენ თავის შეკავება უნდა შეგვეძლოს.

„ლაციოს“ კაპიტან ნესტასთანაც თითქმის იგივე მოხდა. თამაშში ნესტამ სინიშას ჟესტიკულაციით დაუწყო ახსნა, სად და როგორ შეცდა იგი. მარკეჯანისაგან განსხვავებით ნესტა მართალი იყო, მაგრამ მიხაილოვიჩმა არ მოუთმინა.

— როცა პარტნიორი ცდება, არასოდეს მომივა თავში მას შენიშვნა მივცე. როცა ვინმე ცდება და ამის შედეგად ჩვენს კარში გოლი გადის, პირველი მივირბენ ხოლმე მასთან და ვამშვიდებ. ჩვენ ხომ დიდ კლუბში ვთამაშობთ, აქ იმიტომ მიგვიწვიეს, რომ ერთად, ერთიანი ძალებით ვიმოქმედოთ. თითოეულ ჩვენგანს აქვს ღირსებებიც და ღირსების გრძნობაც, ამიტომ ერთმანეთს პატივისცემით უნდა მოვეპყროთ.

ყველაზე დიდი უთანხმოება სინიშას მაინც „არსენალის“ შავკანიან ფრანგ პატრიკ ვიეირასთან მოუვიდა. შეხვედრის შემდეგ ვიეირამ (ცნობილია, როგორც უხეში და არაკორექტული ფეხბურთელი), რომელიც იტალიურად ლაპარაკობს, ჟურნალისტებს შესჩივლა, რომ მიხაილოვიჩმა მას რასისტული შეურაცხყოფა მიაყენა. ამ ისტორიას დიდი გამოხმაურება ჰქონდა. სინიშამ არა მარტო მიიღო უეფასაგან ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია, არამედ იმასაც ამბობდნენ, რომ შეიძლება მის წინააღმდეგ სასამართლო საქმეც კი აღიძრას და რასიზმის გამოვლენის გამო სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯონ.



სინიშა მიხაილოვიჩი

აი, რა განაცხადა ამასთან დაკავშირებით თვით მიხაილოვიჩმა:

— მან პირველმა მომაყენა შეურაცხყოფა, მითხრა, რომ ბოშა ვარ და განავალი. რახან ვიეირა შავკანიანია, სავსებით ლოგიკურად მოვიქეცი, როცა მას შავკანიანი და განავალი ვუწოდე. რაც გამიკეთა, იგივეთი ვუპასუხე. ეს იყო და ეს. ამის გამო ვარ რასისტი? ჩემს წინაშე რომ ყვითელ ან წითელკანიანი კაცი ყოფილიყო და ასე ცუდად მომქცეოდა, მასაც იგივეს ვუპასუხებდი.

ფიქრობდნენ, რომ რახან ვიეირასა და მიხაილოვიჩის საუბარი არავის მოუსმენია, სინიშას შეეძლო ეთქვა, რომ არაფერი იცის იმის შესახებ, რაზე ლაპარაკობს ვიეირა, მაგრამ მას ტყუილის თქმა, საერთოდ, არ შეუძლია.

ბევრი რამ გადაიტანა სინიშამ თავისი წარმოშობის გამო. საქმე ის არის, რომ იგი დაიბადა ხორვატიის ქალაქ ვუკოვარში, სადაც ომამდე ბევრი სერბი ცხოვრობდა. 21 წლამდე არც კი უფიქრია თავის ეროვნებაზე: დედა ხორვატი ჰყავდა, მამა სერბი. „იუგოსლავია, მორჩა და გათავდა“. მაგრამ შემდეგ უკვე საქმე ასე მარტივად აღარ იყო. ვუკოვარში ხორვატებსა და სერბებს შორის სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. როცა ომი თითქოს შეწყდა და სინიშა მშობლიურ ქალაქში დედის სანახავად ჩავიდა, სახლში ნახა. კედელზე სურათები, სადაც იგი „ცრვენა ზვეზდასა“ და იუგოსლავიის ნაკრების მაისურით იყო გადაღებული, ავტომატებით დაეცხრილათ.

ბევრი დავობდა, მიიწვევდა თუ არა იუგოსლავიის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელ მილოვან ჯორიჩი მიხაილოვიჩს გუნდში. ჯორიჩმა არა მარტო მიიწვია, არამედ ნაკრების კაპიტნადაც კი გახადა.

რატომ მაინცდამაინც მიხაილოვიჩი, მას ხომ ინციდენტები მოსდის?

— იგი, უბრალოდ, სხვებზე უფრო ტემპერამენტიანია, ისე კი, კორექტული და პატიოსანი მებრძოლია. ახლა დაწყნარდა. გარდა ამისა, კაპიტანიც იმიტომ არის, რომ უყვარს თავისი სერბია.

# „გოლების მწარმოებელი ფაბრიკა“

ასეთი სახელი, თუ არ გვეშლება, ფეხბურთის ისტორიაში არავისათვის უწოდებიათ. ასეთი „წოდებით“ დაიწყებს თამაშს ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში“ განთქმული ჰოლანდიელი თავდამსხმელი რუუდ ვან ნისტელროოი. მას ექსპერტები ვან ბასტენს ადარებენ.

აი რამდენიმე ნაწყვეტი ნისტელროოის ერთ-ერთი ინტერვიუდან.

● ***თქვენ ხშირად სუპერგმირს გიწოდებენ. გიხარიათ ასეთი შედარება?***

— ყველა ეს სუპერგმირი, სუპერმენი და სუპერბომბარდირი რეპორტიორების გამოგონილი გახლავთ. მე კი, უბრალოდ, ის ადამიანი ვარ, რომელიც კარგად ასრულებს თავის სამუშაოს.

● ***რას იტყვით იმის შესახებ, რომ ხშირად გადარებენ მარკო ვან ბასტენსა და დენის ბერხკამპს?***

— ეს შედარება არაკორექტულია თუნდაც იმიტომ, რომ მე „პსვ ეინდჰოვენის“ მოთამაშე ვარ, ვან ბასტენი და ბერხკამპი კი „აიაქსში“ გამოდიოდნენ. რა თქმა უნდა, მარკო ვან ბასტენს ძალიან ჩამოუვარდები. მარკო ჩინებულად ურტყამდა ორივე ფეხით, უკეთესად თამაშობდა თავით, შეეძლო მშვენიერად შეესრულებინა „მაკრატელა“. მე ჯერჯერობით არ შემიძლია ვთქვა, რომ კარგად ვურტყამ მარცხენათი. რაც შეეხება ბერხკამპს, არ მაწყენდა მისებური სისწრაფე რომ მქონოდა.

● ***ყოველთვის გამოირჩეოდით დიდი სისწრაფით?***

— არა, ასე არ იყო. პირველ სეზონებში, როცა „დენ ბოსხში“ ვთამაშობდი, ძალიან უილბლო ვიყავი, რომ იტყვიან, არ მიმართლებდა. შემეძლო ბურთი სულ რამდენიმე მეტრიდან კარისთვის ამეცილებინა, მაშინაც ვერ გამეტანა გოლი, როცა მეკარე უიმედო მდგომარეობაში, წაქცეულიც კი იყო. ასე გავიდა ორი სეზონი. მესამე წლიდან კი ვისწავლე გოლის გატანა.

● ***ჰოლანდიაში ჩვეულებრივ გულშემატკივრობენ ერთ-ერთს დიდ კლუბთაგანს „აიაქსს“, „ფეიენოორდს“ ან პსვ-ს. თქვენ ბავშვობაში ვისი გულშემატკივარი იყავით?***

— ვერც კი გამოიცნობთ. ეს იყო „ტოპ ოსი“, ჩემი მშობლიური ქალაქის, ოსის კლუბი. იქ არასოდეს მითამაშია. ჩემი პირველი პროფესიული კლუბი იყო „დენ ბოსხი“, ქალაქ ორტოგენიდან, სადაც სამი წელი ვითამაშე, შემდეგ კი წამყვანი კლუბებიდან რამდენიმე მიწვევა მივიღე.

● ***„პსვ ეინდჰოვენიდან“?***

— არა, „პსვ ეინდჰოვენი“ არ გამომხმაურებია. მიწვევდნენ „აიაქსი“, „ფეიენოორდი“, „ვიტესი“, ისე კი, „ჰერენვენის“ მოთამაშე გავხდი. ის კლუბი სწორედ მაშინ დატოვა დანიელმა


რუუდ ვან ნისტელროოი

ბომბარდირმა ტომასონმა, მე კი მის ადგილზე მიმიწვიეს. იქ ერთი წელი საკმაოდ კარგად ვითამაშე, 13 გოლი გავიტანე, მომდევნო სეზონში კი „ეინდჰოვენში“ აღმოვჩნდი.

● ***თქვენს გადაწყვეტილებაზე იმან ხომ არ იმოქმედა, რომ შესაძლებლობა გექნებოდათ ჩემპიონთა ლიგაში გეთამაშათ?***

— არა, მარტო ამას არ უმოქმედია. გადამწყვეტი იყო სურვილი ისეთი დიდი მწვრთნელის ხელმძღვანელობით მეთამაშა, როგორიც ბობ რობსონია, აგრეთვე ლიუკ ნილისის მხარდამხარ გამოვსულიყავი. იგი დიდი ფეხბურთელი იყო, ვუგებდით ერთმანეთს. ჩემი გოლების ნახევარზე მეტი ნილისის გადაცემების შედეგად გავიტანე.

● ***რატომ ხდება, რომ „პსვ ეინდჰოვენი“ სისტემატურად მარცხდება ჩემპიონთა ლიგაში?***

— არ ვიცი. ხან ძალიან ძლიერ ჯგუფში აღმოვჩნდებით ხოლმე. თუმცა ასეთ ტურნირში არ შეიძლება წილისყრის შედეგებს უჩიოდე, თუკი რაიმე სერიოზულის პრეტენზია გაქვს.

● ***1999 წლის ზაფხულში მადრიდის „რეალი“ თქვენზე პირდაპირ ნადირობდა.***

— სიტყვა „ნადირობა“ აშკარა გადაჭარბება იქნება. „რეალმა“ ერთგვარი ინტერესი კი გამოიჩინა, მაგრამ მოლაპარაკება მაინცდამაინც დიდხანს არ გაგრძელებულა. ესპანელებმა მაინც ანელკა ამჯობინეს.

● ***არა გწყენიათ, რომ ანელკა გამჯობინეს?***

— სულაც არა. მიყვარს სამშობლოში თამაში.

● ***დიახ, მაგრამ ხომ შეიქმნა მყარი აზრი, რომ ჰოლანდიის ჩემპიონატის დონე მაღალი არ არის.***

— ეს შეცდომაა. ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი საკმაოდ ძლიერია.

● ***როგორც კი გოლს გაიტანთ, გეღიმებათ. ეს ჩვევაა თუ გულშემატკივრებისათვის განკუთვნილი რამ?***

— არც ერთი და არც მეორე. მიხარია, რომ გოლი გავიტანე და ამ სიხარულს პარტნიორებს და გულშემატკივრებსაც ვუზიარებ.

**რუუდ ვან ნისტელროოი დაიბადა 1976 წლის 1 ივლისს ქალაქ ოსში. 188 სმ, 80 კგ. თამაშობდა „დენ ბოსხსა“ და „ჰერენვენში“, „პსვ ეინდჰოვენში“ კი 1998 წელს ჩაირიცხა. ჰოლანდიის 1998-99 წლების ჩემპიონატში 31 გოლი გაიტანა. ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი. „მანჩესტერ იუნაიტედში“ ჯერ კიდევ 2000 წლის ზაფხულიდან უნდა გადასულიყო, მაგრამ მძიმე ტრავმა მიიღო. ხელშეკრულებას სულ ახლახან რუუდ ვან ნისტელროოის საბოლოოდ გამოჯანმრთელების შემდეგ მოეწერება ხელი.**

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## რუსეთი
### VIII ტური

ჩერნომორეცი – დინამო 1-1
სპარტაკი – ფაკელი 3-0
როტორი – სატურნი 1-0
როსტსელმ. – ტორპ.ზილი 1-0
ლოკომოტივი – ალანია 3-1
ზენიტი – ტორპედო 0-3
სოკოლი – კრ. სოვეტოვი 1-0
ცსკა – ანჟი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოკოლი | 8 | 6 | 2 | 0 | 10-4 | 20 |
| კრ. სოვეტ. | 8 | 6 | 1 | 1 | 11-2 | 19 |
| სპარტაკი | 8 | 5 | 2 | 1 | 9-5 | 17 |
| ზენიტი | 8 | 5 | 1 | 2 | 11-8 | 16 |
| ლოკომოტ. | 8 | 4 | 3 | 1 | 9-5 | 15 |
| ტორპედო | 8 | 3 | 3 | 2 | 9-8 | 12 |
| სატურნი | 8 | 3 | 2 | 3 | 10-6 | 11 |
| როტორი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-6 | 11 |
| ცსკა | 8 | 3 | 1 | 4 | 6-8 | 10 |
| ანჟი | 8 | 2 | 3 | 3 | 5-6 | 9 |
| ტორპ. ზილი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-9 | 8 |
| ჩერნომორ. | 8 | 2 | 2 | 4 | 6-12 | 8 |
| დინამო | 8 | 1 | 3 | 4 | 7-9 | 6 |
| ალანია | 8 | 2 | 0 | 6 | 4-12 | 6 |
| როსტსელმ. | 8 | 1 | 2 | 5 | 4-9 | 5 |
| ფაკელი | 8 | 1 | 1 | 6 | 5-12 | 4 |

## პორტუგალია
### I ლიგა. XXXI ტური

ბენფიკა – ალვერკა 0-2
ბრაგა – მარიტიმუ 2-1
ბოავიშტა – ჟილ ვისენტე 2-0
კამპომაიორენსე – ფარენსე 1-0
ფერეირა – გიმარაეში 0-1
ამადორა – სალგეიროში 1-0
ლეირია – ავეში 1-1
ბელენენსეში – სპორტინგი 1-1
ბეირა მარი – პორტუ 0-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 31 | 21 | 8 | 2 | 55-17 | 71 |
| პორტუ | 31 | 21 | 4 | 6 | 63-25 | 67 |
| სპორტინგი | 31 | 18 | 5 | 8 | 54-33 | 59 |
| ბრაგა | 31 | 16 | 9 | 6 | 55-39 | 57 |
| ბენფიკა | 31 | 15 | 7 | 9 | 49-36 | 52 |
| ლეირია | 31 | 13 | 11 | 7 | 40-35 | 50 |
| ბელენენსეში | 31 | 13 | 10 | 8 | 39-31 | 49 |
| ბეირა მარი | 31 | 13 | 6 | 12 | 39-45 | 45 |
| ფერეირა | 31 | 11 | 11 | 9 | 41-33 | 44 |
| ალვერკა | 31 | 11 | 6 | 14 | 41-46 | 39 |
| სალგეიროში | 31 | 12 | 3 | 16 | 37-49 | [illegible] |
| მარიტიმუ | 31 | 10 | 7 | 14 | 31-35 | 37 |
| ფარენსე | 31 | 9 | 9 | 13 | 35-44 | 36 |
| გიმარაეში | 31 | 7 | 9 | 15 | 37-48 | 30 |
| კამპომაიორ. | 31 | 6 | 11 | 14 | 27-53 | 29 |
| ჟილ ვისენტე | 31 | 7 | 7 | 17 | 25-39 | 28 |
| ამადორა | 31 | 4 | 6 | 21 | 23-48 | 18 |
| ავეში | 31 | 3 | 9 | 19 | 24-59 | 18 |

## ინგლისი
### პრემიერლიგა. XXXVII ტური

არსენალი – ლიდსი 2-1
ასტონ ვილა – ქოვენთრი 3-2
ბრედფორდი – მიდლსბრო 1-1
ჩელსი – ევერტონი 2-1
ლესტერი – ტოტენჰემი 4-2
ლივერპული – ნიუკასლი 3-0
მანჩესტერ იუნ. – დერბი 0-1
სანდერლენდი – ჩარლტონი 3-2
ვესტ ჰემი – საუთჰემპტონი 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტ.იუნ. | 36 | 24 | 8 | 4 | 77-26 | 80 |
| არსენალი | 36 | 20 | 9 | 7 | 61-35 | 69 |
| ლივერპული | 36 | 19 | 8 | 9 | 65-37 | 65 |
| ლიდსი | 36 | 18 | 8 | 10 | 55-41 | 62 |
| იფსვიჩი | 36 | 19 | 5 | 12 | 54-40 | 62 |
| ჩელსი | 36 | 16 | 9 | 11 | 64-42 | 57 |
| სანდერლენ. | 37 | 15 | 11 | 11 | 44-39 | 56 |
| ასტონ ვილა | 37 | 13 | 15 | 9 | 46-40 | 54 |
| ჩარლტონი | 37 | 14 | 10 | 13 | 50-53 | 52 |
| ლესტერი | 37 | 14 | 6 | 17 | 38-48 | 48 |
| ნიუკასლი | 36 | 13 | 8 | 15 | 41-50 | 47 |
| ტოტენჰემი | 37 | 12 | 10 | 15 | 44-53 | 46 |
| საუთჰემპტ. | 36 | 12 | 10 | 14 | 35-45 | 46 |
| ვესტ ჰემი | 37 | 10 | 12 | 15 | 44-48 | 42 |
| ევერტონი | 37 | 11 | 8 | 18 | 43-57 | 41 |
| დერბი | 37 | 10 | 11 | 16 | 36-58 | 41 |
| მიდლსბრო | 37 | 8 | 15 | 14 | 42-43 | 39 |
| მანჩესტ.სიტი | 37 | 8 | 10 | 18 | 39-61 | 34 |
| ქოვენთრი | 37 | 8 | 9 | 20 | 36-63 | 33 |
| ბრედფორდი | 36 | 5 | 10 | 21 | 29-64 | 25 |

## იტალია
### სერია A. XXIX ტური

ბოლონია – უდინეზე 1-1
ლეჩე – ბრეშა 0-3
ინტერი – ატალანტა 3-0
ლაციო – ბარი 2-0
პარმა – ნაპოლი 4-0
პერუჯა – მილანი 2-1
ვერონა – ფიორენტინა 2-1
ვიჩენცა – რეჯინა 2-1
იუვენტუსი – რომა 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 29 | 19 | 7 | 3 | 58-28 | 64 |
| ლაციო | 29 | 18 | 5 | 6 | 53-30 | 59 |
| იუვენტუსი | 29 | 16 | 10 | 3 | 48-24 | 58 |
| პარმა | 29 | 14 | 8 | 7 | 44-22 | 50 |
| მილანი | 29 | 11 | 11 | 7 | 46-40 | 44 |
| ინტერი | 29 | 13 | 8 | 9 | 41-35 | 44 |
| ატალანტა | 29 | 10 | 12 | 7 | 35-28 | 42 |
| ბოლონია | 29 | 11 | 8 | 10 | 41-40 | 41 |
| ფიორენტინა | 29 | 9 | 12 | 8 | 48-42 | 39 |
| პერუჯა | 29 | 10 | 9 | 10 | 42-44 | 39 |
| ბრეშა | 29 | 8 | 11 | 10 | 36-37 | 35 |
| უდინეზე | 29 | 10 | 3 | 16 | 42-50 | 33 |
| ვიჩენცა | 29 | 8 | 7 | 14 | 31-42 | 31 |
| ლეჩე | 29 | 7 | 10 | 12 | 35-49 | 31 |
| ნაპოლი | 29 | 6 | 10 | 13 | 27-43 | 28 |
| ვერონა | 29 | 7 | 6 | 16 | 31-51 | 27 |
| რეჯინა | 29 | 7 | 5 | 17 | 25-46 | 26 |
| ბარი | 29 | 5 | 4 | 20 | 26-56 | 19 |

## საბერძნეთი
### XXVIII ტური

პანიონიოსი – ოლიმპიაკოსი 2-1
ირაკლისი – ათინაიკოსი 4-2
იანინა – არისი 2-1
ქსანთი – ეთნიკოსი 3-1
კალამატა – ოფი 1-4
პანაჰაიკი – პანილიაკოსი 3-0
პაოკი – იონიკოსი 1-2
პანათინაიკოსი – აეკ (07.05)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკ. | 28 | 24 | 2 | 2 | 81-20 | 74 |
| პანათინაიკ. | 27 | 18 | 6 | 3 | 53-17 | 60 |
| აეკი | 27 | 16 | 4 | 7 | 56-32 | 52 |
| პაოკი | 28 | 13 | 9 | 6 | 59-44 | 48 |
| ირაკლისი | 28 | 13 | 4 | 11 | 42-36 | 43 |
| იონიკოსი | 28 | 11 | 8 | 9 | 41-42 | 41 |
| არისი | 28 | 12 | 4 | 12 | 32-37 | 40 |
| პანიონისი | 28 | 9 | 9 | 10 | 37-37 | 36 |
| ქსანთი | 28 | 10 | 5 | 13 | 23-33 | 35 |
| პანაჰაიკი | 28 | 9 | 6 | 13 | 38-47 | 33 |
| ოფი | 28 | 7 | 8 | 13 | 36-48 | 29 |
| იანინა | 28 | 7 | 8 | 13 | 36-52 | 29 |
| ეთნიკოსი | 28 | 7 | 7 | 14 | 29-51 | 28 |
| პანილიაკოსი | 28 | 6 | 8 | 14 | 23-42 | 26 |
| კალამატა | 28 | 4 | 9 | 15 | 36-59 | 21 |
| ათინაიკოსი | 28 | 5 | 5 | 18 | 36-61 | 20 |

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. XXXIII ტური

სოსიედადი – ვალენსია 1-2
სელტა – რეალი 3-0
ესპანიოლი – ბარსელონა 0-0
ვალიადოლიდი – მალაგა 0-0
ოვიედო – ბილბაო 5-0
ალავესი – რასინგი 5-1
ოსასუნა – მალიორკა 1-0
ვილიარეალი – ლას პალმასი 2-1
სარაგოსა – ნუმანსია 3-1
რაიო ვალეკ. – დეპორტივო 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 33 | 21 | 6 | 6 | 70-36 | 69 |
| დეპორტივო | 33 | 18 | 7 | 8 | 62-39 | 61 |
| ვალენსია | 33 | 17 | 8 | 8 | 51-26 | 59 |
| მალიორკა | 33 | 15 | 11 | 7 | 46-39 | 56 |
| ბარსელონა | 33 | 14 | 11 | 8 | 69-51 | 53 |
| სელტა | 33 | 14 | 9 | 10 | 47-45 | 51 |
| ვილიარეალი | 33 | 14 | 8 | 11 | 51-48 | 50 |
| ალავესი | 33 | 14 | 7 | 12 | 54-45 | 49 |
| მალაგა | 33 | 13 | 8 | 12 | 52-51 | 47 |
| ესპანიოლი | 33 | 13 | 7 | 13 | 40-33 | 46 |
| ბილბაო | 33 | 11 | 9 | 13 | 41-49 | 42 |
| რაიო ვალეკ. | 33 | 9 | 13 | 11 | 53-56 | 40 |
| სარაგოსა | 33 | 9 | 12 | 12 | 51-52 | 39 |
| ლას პალმასი | 33 | 11 | 6 | 16 | 34-54 | 39 |
| ოვიედო | 33 | 10 | 7 | 16 | 45-57 | 37 |
| ვალიადოლ. | 33 | 8 | 12 | 13 | 35-43 | 36 |
| ოსასუნა | 33 | 8 | 11 | 14 | 38-48 | 35 |
| სოსიედადი | 33 | 8 | 9 | 16 | 41-64 | 33 |
| რასინგი | 33 | 8 | 7 | 18 | 40-58 | 31 |
| ნუმანსია | 33 | 7 | 8 | 18 | 33-59 | 29 |

## ჩეხეთი
### XXVII ტური

ტეპლიცე – ლიბერეცი 0-0
ჟიჟკოვი – დრნოვიცე 3-1
იაბლონეცი – სლავია 1-2
ბრნო – სინოტი 0-2
პრჟიბრამი – პლზენი 3-1
სიგმა – ბოჰემიანსი 1-0
სპარტა – ბანიკი 4-1
ბუდეიოვიცე – ბლშანი (07.05)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 27 | 20 | 4 | 3 | 66-26 | 64 |
| სიგმა | 27 | 13 | 9 | 5 | 46-31 | 48 |
| პრჟიბრამი | 27 | 13 | 8 | 6 | 39-24 | 47 |
| სლავია | 27 | 12 | 10 | 5 | 41-28 | 46 |
| ჟიჟკოვი | 27 | 12 | 8 | 7 | 41-36 | 44 |
| ტეპლიცე | 27 | 12 | 4 | 11 | 42-31 | 40 |
| ლიბერეცი | 27 | 11 | 7 | 9 | 36-30 | 40 |
| დრნოვიცე | 27 | 9 | 8 | 10 | 31-33 | 35 |
| სინოტი | 27 | 8 | 9 | 10 | 34-33 | 33 |
| ბოჰემიანსი | 27 | 8 | 9 | 10 | 31-34 | 33 |
| ბლშანი | 26 | 8 | 8 | 10 | 26-29 | 32 |
| იაბლონეცი | 27 | 7 | 8 | 12 | 23-36 | 29 |
| ბრნო | 27 | 7 | 6 | 14 | 23-34 | 27 |
| ბანიკი | 27 | 6 | 8 | 13 | 26-44 | 26 |
| ბუდეიოვიცე | 26 | 6 | 7 | 13 | 31-51 | 25 |
| პლზენი | 27 | 3 | 7 | 17 | 24-60 | 16 |

## ბელგია
### I დივიზიონი. XXXII ტური

მეხელენი – ანტვერპენი 0-3
ბრიუგე – ანდერლეხტი 0-1
სტ. ტრუიდენი – ბევერენი 1-0
ბეერსხოტი – ლიერსი 6-0
ლუვიე – გენკი 2-1
სტანდარდი – გენტი 1-0
ლოკერენი – მუსკრონი 2-1
აალსტი – შარლერუა 4-0
ვესტერლო – ჰარელბეკე 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 32 | 23 | 8 | 1 | 82-24 | 77 |
| ბრიუგე | 32 | 21 | 9 | 2 | 75-24 | 72 |
| სტანდარდი | 32 | 16 | 11 | 5 | 70-38 | 59 |
| ბეერსხოტი | 32 | 17 | 3 | 12 | 61-48 | 54 |
| გენტი | 32 | 15 | 8 | 9 | 56-46 | 53 |
| ლოკერენი | 32 | 14 | 9 | 9 | 50-41 | 51 |
| ვესტერლო | 32 | 14 | 8 | 10 | 57-51 | 50 |
| მუსკრონი | 32 | 14 | 7 | 11 | 59-47 | 49 |
| შარლერუა | 32 | 13 | 5 | 14 | 49-57 | 44 |
| ლიერსი | 32 | 12 | 7 | 13 | 43-48 | 42 |
| გენკი | 32 | 10 | 9 | 13 | 43-45 | 39 |
| ანტვერპენი | 32 | 11 | 5 | 16 | 37-44 | 38 |
| ბევერენი | 32 | 9 | 8 | 15 | 27-57 | 35 |
| სტ. ტრუიდ. | 32 | 8 | 7 | 17 | 36-52 | 31 |
| ლუვიე | 32 | 6 | 11 | 15 | 29-51 | 29 |
| აალსტი | 32 | 7 | 7 | 18 | 32-60 | 28 |
| ჰარელბეკე | 32 | 7 | 4 | 21 | 33-74 | 25 |
| მეხელენი | 32 | 4 | 9 | 19 | 38-70 | 21 |

## ნორვეგია
### III ტური

ბოდო გლიმტი – მოსი 0-2
ბრანი – სოგნდალი 2-1
ლილესტრიომი – ლინი 2-1
მოლდე – ბრინი 5-0
რუსენბორგი – ტრომსიო 3-0
სტაბეკი – ოდ გრენლანდი 1-0
ვიკინგი – სტრიომგოდსეტი 1-1

## ავსტრია
### XXXIII ტური

ბრეგენცი – ტიროლი 1-0
ადმირა – ზალცბურგი 0-0
გრაცერი – ლინცერი 1-0
რიდი – შტურმი 1-3
რაპიდი – აუსტრია 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 33 | 17 | 8 | 8 | 57-30 | 59 |
| რაპიდი | 33 | 15 | 10 | 8 | 59-35 | 55 |
| შტურმი | 33 | 16 | 6 | 11 | 57-40 | 54 |
| აუსტრია | 33 | 14 | 7 | 12 | 46-38 | 49 |
| გრაცერი | 33 | 13 | 9 | 11 | 44-39 | 48 |
| ზალცბურგი | 32 | 12 | 9 | 11 | 44-38 | 45 |
| რიდი | 33 | 12 | 8 | 13 | 47-48 | 44 |
| ადმირა | 33 | 8 | 10 | 15 | 29-61 | 34 |
| ბრეგენცი | 32 | 9 | 6 | 17 | 37-61 | 33 |
| ლინცერი | 33 | 7 | 9 | 17 | 37-67 | 30 |

## შოტლანდია
### XXXVI ტური

დანდი – კილმარნოკი 2-1
მოზერუელი – აბერდინი 0-2
სტ. ჯონსტონი – სტ. მირენი 2-2
ჰართსი – რეინჯერსი 1-4
ჰიბერნიანი – სელტიკი 2-5
დანდი იუნ. – დანფერმლაინი 1-0

*I-VI ადგილისათვის*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 36 | 31 | 4 | 1 | 90-26 | 97 |
| რეინჯერსი | 36 | 24 | 4 | 8 | 65-35 | 76 |
| ჰიბერნიანი | 36 | 18 | 11 | 7 | 57-31 | 65 |
| კილმარნოკი | 36 | 14 | 9 | 13 | 42-48 | 51 |
| ჰართსი | 36 | 13 | 9 | 14 | 54-50 | 48 |
| დანდი | 36 | 12 | 8 | 16 | 49-47 | 44 |

*VII-XII ადგილისთვის*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აბერდინი | 36 | 11 | 12 | 13 | 43-48 | 45 |
| დანფერმლ. | 36 | 11 | 8 | 17 | 33-52 | 41 |
| მოზერუელი | 36 | 11 | 6 | 19 | 37-52 | 39 |
| სტ. ჯონსტ. | 36 | 9 | 12 | 15 | 38-53 | 39 |
| დანდი იუნ. | 36 | 7 | 8 | 21 | 33-60 | 29 |
| სტ. მირენი | 36 | 7 | 5 | 24 | 27-68 | 26 |



ფრაიბურგი – ჰერტა 1-0. ლევან კობიაშვილი (მარცხნივ)

## შვეიცარია
### „ა" ჯგუფი. X ტური

გრასჰოპერსი – ლუგანო 1-1
სტ. გალენი – სიონი 4-1
სერვეტი – ლოზანა 3-1
ბაზელი – ციურიხი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტ. გალენი | 10 | 6 | 1 | 3 | 20-16 | 39 |
| გრასჰოპერსი | 10 | 5 | 3 | 2 | 15-9 | 36 |
| ლუგანო | 10 | 3 | 4 | 3 | 16-13 | 34 |
| ბაზელი | 10 | 4 | 4 | 2 | 12-10 | 33 |
| სერვეტი | 10 | 4 | 2 | 4 | 19-14 | 31 |
| ციურიხი | 10 | 3 | 3 | 4 | 8-8 | 28 |
| ლოზანა | 10 | 2 | 2 | 6 | 10-24 | 26 |
| სიონი | 10 | 2 | 3 | 5 | 11-16 | 25 |

## ჰოლანდია
### I დივიზიონი. XXXI ტური

ტვენტე – როზენდალი 4-1
ალკმაარი – ტილბურგი 2-3
ვიტესი – როდა 1-1
პსვ – ჰერენვენი 3-0
გრონინგენი – სპარტა 1-1
გრააფსხაპი – ნაიმეგენი 2-1
ბრედა – უტრეხტი 0-0
ფეიენოორდი – სიტარდი 2-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 31 | 22 | 8 | 1 | 64-18 | 74 |
| ფეიენოორდი | 31 | 19 | 2 | 10 | 60-32 | 59 |
| როდა | 31 | 16 | 8 | 7 | 53-34 | 56 |
| აიაქსი | 30 | 16 | 7 | 7 | 73-35 | 55 |
| ვიტესი | 30 | 14 | 9 | 7 | 49-40 | 51 |
| ვალვაიკი | 31 | 13 | 11 | 7 | 42-33 | 50 |
| უტრეხტი | 30 | 14 | 7 | 9 | 45-40 | 49 |
| ტილბურგი | 31 | 12 | 9 | 10 | 53-46 | 45 |
| ჰერენვენი | 31 | 11 | 11 | 9 | 47-37 | 44 |
| ბრედა | 31 | 11 | 9 | 11 | 36-39 | 42 |
| ნაიმეგენი | 31 | 9 | 13 | 9 | 39-43 | 40 |
| ტვენტე | 31 | 9 | 10 | 12 | 43-56 | 37 |
| გრონინგენი | 31 | 8 | 9 | 14 | 35-45 | 33 |
| ალკმაარი | 31 | 8 | 7 | 16 | 39-56 | 31 |
| გრააფსხაპი | 31 | 9 | 3 | 19 | 41-61 | 30 |
| სიტარდი | 31 | 7 | 7 | 17 | 27-58 | 28 |
| სპარტა | 31 | 6 | 6 | 19 | 40-65 | 24 |
| როზენდალი | 31 | 4 | 2 | 25 | 36-84 | 14 |

## პოლონეთი
### XXIV ტური

სტომილი – ლეგია 2-1
ამიცა – რუხი 2-1
შლიონსკი – პლოცკი 0-1
პოლონია – ზაგლები 2-0
ოდრა – რაძიონკოვი 2-2
პოგონი – გროცლინი 2-0
გურნიკი – ვიძევი 0-2
კატოვიცე – ვისლა 0-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 24 | 17 | 4 | 3 | 56-18 | 55 |
| ლეგია | 24 | 13 | 7 | 4 | 40-20 | 46 |
| პოგონი | 24 | 13 | 5 | 6 | 35-22 | 44 |
| პოლონია | 24 | 12 | 4 | 8 | 31-21 | 40 |
| ამიცა | 24 | 10 | 5 | 9 | 39-36 | 35 |
| ზაგლები | 24 | 10 | 4 | 10 | 34-32 | 34 |
| კატოვიცე | 24 | 7 | 12 | 5 | 23-18 | 33 |
| რუხი | 24 | 9 | 5 | 10 | 36-36 | 32 |
| გროცლინი | 24 | 8 | 7 | 9 | 27-29 | 31 |
| ვიძევი | 24 | 8 | 5 | 11 | 30-37 | 29 |
| რაძიონკოვი | 24 | 9 | 2 | 13 | 22-38 | 29 |
| სტომილი | 24 | 8 | 4 | 12 | 20-35 | 28 |
| ოდრა | 24 | 7 | 6 | 11 | 27-40 | 27 |
| შლიონსკი | 24 | 7 | 5 | 12 | 23-32 | 26 |
| გურნიკი | 24 | 6 | 5 | 13 | 21-31 | 23 |
| პლოცკი | 24 | 6 | 4 | 14 | 24-43 | 22 |

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XXXII ტური

დორტმუნდი – შტუტგარტი 0-0
ლევერკუზენი – ბაიერნი 0-1
მიუნხენი – კიოლნი 3-1
შალკე – ვოლფსბურგი 2-1
აინტრახტი – ბოხუმი 3-0
ჰანზა – კოტბუსი 1-0
ჰამბურგი – კაიზერი 1-1
ვერდერი – უნტერჰახინგი 0-0
ფრაიბურგი – ჰერტა 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 32 | 17 | 8 | 7 | 60-31 | 59 |
| ბაიერნი | 32 | 18 | 5 | 9 | 59-35 | 59 |
| დორტმუნდი | 32 | 15 | 9 | 8 | 55-38 | 54 |
| ლევერკუზ. | 32 | 16 | 5 | 11 | 52-39 | 53 |
| ჰერტა | 32 | 17 | 1 | 14 | 56-51 | 52 |
| კაიზერი | 32 | 15 | 5 | 12 | 48-51 | 50 |
| ფრაიბურგი | 32 | 13 | 10 | 9 | 47-35 | 49 |
| ვერდერი | 32 | 13 | 8 | 11 | 47-47 | 47 |
| კიოლნი | 32 | 12 | 9 | 11 | 55-46 | 45 |
| ვოლფსბურგი | 32 | 11 | 11 | 10 | 56-41 | 44 |
| მიუნხენი | 32 | 12 | 7 | 13 | 43-54 | 43 |
| ჰანზა | 32 | 12 | 6 | 14 | 34-44 | 42 |
| ჰამბურგი | 32 | 10 | 10 | 12 | 55-53 | 40 |
| შტუტგარტი | 32 | 8 | 11 | 13 | 40-47 | 35 |
| უნტერჰახ. | 32 | 8 | 11 | 13 | 31-50 | 35 |
| კოტბუსი | 32 | 10 | 3 | 19 | 33-50 | 33 |
| აინტრახტი | 32 | 9 | 5 | 18 | 39-64 | 32 |
| ბოხუმი | 32 | 7 | 6 | 19 | 29-63 | 27 |

## თურქეთი
### XXXI ტური

ანკარაგიუჯიუ – ტრაბზონი 2-4
ანთალია – სამსუნი 2-2
იოზგათი – კოჯაელი 4-2
ადანა – ერზრუმი 3-3
ბეშიქთაში – ისთანბული 2-0
იეთფა – გენჩლერბირლიგი 3-0
დენიზლი – გაზიანთეფი 2-3
რიზე – ბურსა 3-1
ფენერბახჩე – გალათასარაი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბახჩე | 31 | 21 | 4 | 6 | 75-37 | 67 |
| გალათასარაი | 31 | 21 | 4 | 6 | 70-33 | 67 |
| გაზიანთეფი | 31 | 19 | 7 | 5 | 64-37 | 64 |
| ბეშიქთაში | 31 | 18 | 6 | 7 | 60-43 | 60 |
| ტრაბზონი | 31 | 16 | 6 | 9 | 67-47 | 54 |
| ანკარა | 31 | 13 | 8 | 10 | 55-54 | 47 |
| სამსუნი | 31 | 12 | 8 | 11 | 48-45 | 44 |
| დენიზლი | 31 | 12 | 8 | 11 | 50-52 | 44 |
| იოზგათი | 31 | 11 | 9 | 11 | 47-44 | 42 |
| რიზე | 31 | 12 | 6 | 13 | 42-40 | 42 |
| ისთანბული | 31 | 11 | 7 | 13 | 44-52 | 40 |
| გენჩლერბირ. | 31 | 12 | 3 | 16 | 39-50 | 39 |
| ბურსა | 31 | 10 | 7 | 14 | 51-54 | 37 |
| კოჯაელი | 31 | 8 | 11 | 12 | 46-55 | 35 |
| ანთალია | 31 | 9 | 8 | 14 | 42-55 | 35 |
| იეთფა | 31 | 5 | 6 | 20 | 43-72 | 21 |
| ერზრუმი | 31 | 5 | 6 | 20 | 33-71 | 21 |
| ადანა | 31 | 2 | 10 | 19 | 44-80 | 16 |

## დანია
### XXVII ტური

ოლბორგი – აკადემისკი 4-1
ჰადერსლევი – ბრონდბიუ 0-4
ოდენსე – სილკებორგი 1-0
კოპენჰაგენი – ვიბორგი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 27 | 14 | 6 | 7 | 63-34 | 48 |
| კოპენჰაგენი | 27 | 12 | 11 | 4 | 40-22 | 47 |
| მიდტიულან. | 26 | 13 | 8 | 5 | 45-34 | 47 |
| სილკებორგი | 27 | 12 | 11 | 4 | 39-29 | 47 |
| ვიბორგი | 27 | 12 | 6 | 9 | 44-30 | 42 |
| ოდენსე | 27 | 11 | 5 | 11 | 40-35 | 38 |
| ლიუნგბიუ | 26 | 11 | 5 | 10 | 35-44 | 38 |
| ოლბორგი | 27 | 9 | 10 | 8 | 43-39 | 37 |
| ორჰუსი | 26 | 9 | 4 | 13 | 40-51 | 31 |
| აკადემისკი | 27 | 5 | 12 | 10 | 33-37 | 27 |
| ჰერფიოლგე | 26 | 5 | 8 | 13 | 30-49 | 23 |
| ჰადერსლევი | 27 | 1 | 6 | 20 | 25-69 | 9 |

## ლარსონი – შოტლანდიაში საუკეთესო!

დასასრულს უახლოვდება შოტლანდიის ჩემპიონატი და ამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ დაასახელა წლის საუკეთესო ფეხბურთელი. მთავარი პრიზი გადაეცემა „სელტიკის" შვედ თავდამსხმელს ჰენრიკ ლარსონს.

## საფრანგეთის ლიგის თასი – ლიონს!

საფრანგეთის ლიგის თასის ფინალში „ლიონმა" დამატებით დროში შეძლო „მონაკოს" დამარცხება 2-1. ეს არის ამ კლუბის პირველი გამარჯვება 1973 წლის შემდეგ, როცა „ლიონი" საფრანგეთის თასს დაეუფლა.

## მაკალისტერი – თვის საუკეთესო!

„ლივერპულის" ნახევარმცველი გარი მაკალისტერი დასახელებულია აპრილის საუკეთესო ფეხბურთელად ინგლისში. მან ხუთ შეხვედრაში გაიტანა ხუთი ბურთი, აქედან გადამწყვეტი გოლი „ევერტონის" კარში, აგრეთვე „ბარსელონასთან" განმეორებით შეხვედრაში. ზედიზედ მეორედ, თვის საუკეთესო მწვრთნელად კი დასახელებულია „ლიდსის" თავკაცი დევიდ ო'ლირი.

# მხოლოდ არახამია და ხურციძე

ევროპის ქალთა ჩემპიონატი მოლდაველ დიდოსტატ ელმირა სკრიპჩენკო-ლოტიეს გამარჯვებით დამთავრდა. 25 წლის ჩემპიონი ცნობილი მოლდაველი მწვრთნელის ფეოდორ სკრიპჩენკოს ქალიშვილი და საფრანგეთის №1 მოჭადრაკე ჟოელ ლოტიეს მეუღლეა, რომელიც ასრულებდა კიდეც მწვრთნელის ფუნქციებს.

სამწუხაროდ, საქართველოს წარმომადგენლებმა ეს შეჯიბრება მარცხიანად წარმართეს. იმ 29 მოჭადრაკეს შორის, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები მიიღეს, აღმოჩნდნენ მხოლოდ დიდოსტატები ქეთევან არახამია და ნინო ხურციძე (მას ბრინჯაო დარჩა). დიდხანს კარგად იბრძოდა 14 წლის საერთაშორისო ოსტატი ნანა ძაგნიძე. იგი მოხვდა იმ მოჭადრაკეების რიცხვში, რომლებსაც მოუხდათ საგზურებისათვის დამატებით შეჯიბრებაში ბრძოლა. აი აქ კი ნორჩ მოჭადრაკეს ხელი მოეცარა.

# კასპაროვი კვლავ პირველია

**განთქმულ დიდოსტატ ვიქტორ კორჩნოის 70 წლისთავს მიეძღვნა ციურიხის დიდი საერთაშორისო ტურნირი სწრაფ ჭადრაკში.**

**12 მონაწილე ორ ჯგუფად დაჰყვეს. პირველში 5 შესაძლებლიდან 4,5 ქულით გაიმარჯვა გარი კასპაროვმა, მეორეში 3,5 ქულით — ვლადიმირ კრამნიკმა.**

**დასკვნით შეხვედრაში უპირატესობა კასპაროვს ჰქონდა, რომელმაც გაიმარჯვა და პირველ პრიზს დაეუფლა.**

# კონფლიქტი: ფიდე-დიდოსტატები

ამ ბოლო ხანებში საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდეს) პოლიტიკით უკმაყოფილო დიდოსტატების რიცხვი ისე გაიზარდა, რომ...

რაშია კონფლიქტის არსი:

ფიდეს ხელმძღვანელობას ძალიან სურს სოკ-ის წევრი გახდეს. ჭადრაკში უფრო მეტი სპორტული ელემენტის შეტანისა და კომერციული მოსაზრებებით (რათა იგი ტელევიზიისათვის უფრო მიმზიდველი გახადოს) ფიდე თანახმაა ბევრი რამ შეცვალოს თამაშში, კერძოდ კი, მკვეთრად შეამციროს სვლების მოსაფიქრებლად განკუთვნილი დრო.

ახლა სხვადასხვა შეჯიბრებაში დროის სამ განსხვავებულ კონტროლს იყენებენ: კლასიკურსზე (ანუ ადრინდელ, უკანასკნელ ხანებამდელ) ჭადრაკში 7 ან 6 საათს, სწრაფ ჭადრაკში 20-დან 50 წუთამდე, მთელ პარტიაზე, ელვისებურ ჭადრაკში კი — 10 წუთს. ფიდე ცდილობს მოჭადრაკეები ერთსა და იმავე შეჯიბრებაში აიძულოს კლასიკური წესებითაც ითამაშონ და თუ რაიმე დარჩა დამატებით გასარკვევი, სწრაფი ჭადრაკის წესებითაც. ეს კი აშკარა აღრევასა და მოჭადრაკეების დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

ჭადრაკს თავისი სპეციფიკა აქვს. დრო რომ გადის, შეიძლება სპორტული შედეგები დაგვავიწყდეს, მაგრამ გვეხსომება სხვადასხვა ბეჭდვით ორგანოში მოთავსებული პარტიები და კომბინაციები. აი, სწორედ ეს არის, რაც ჭადრაკს ხელოვნებასთან აახლოებს, თვით მოთამაშეებსაც და გულშემატკივრების მილიონებსაც უზარმაზარ სიამოვნებას ანიჭებს. აქ მოჭადრაკეებს ძალიან შეუშლის ხელს მოსაფიქრებელი დროის შემცირება. პარტიების ხარისხი აშკარად დაეცემა, ცაიტნოტში არაერთი პარტია დამახინჯდება და არალოგიკური შედეგით დასრულდება.

ერთი სიტყვით, კონფლიქტის ერთი მხარეა ფიდეს ხელმძღვანელობის მიერ ჭადრაკის სპორტული მხარის წინ წამოწევა შემოქმედების საზარალოდ. ეს დიდოსტატების გაფთრებულ წინააღმდეგობას იწვევს.

კონფლიქტს ამძაფრებს ფიდეს მიერ მსოფლიო ჩემპიონატების ფორმულის შეცვლა და მისი ე.წ. „ნოკაუტ-სისტემით“ ჩატარება, რომელშიც ასზე მეტი მოჭადრაკე მონაწილეობს. დამაგვირგვინებელ ეტაპზე მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის ორი უძლიერესი სულ 6 პარტიას თამაშობს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა.

როგორც წამყვანი დიდოსტატები აცხადებენ, ისინი დიდ პატივს სცემენ ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულ სამივე განთქმულ მოჭადრაკეს: ანატოლი კარპოვს, ალექსანდრ ხალიფმანსა და ვიშვანათან ანანდს, მაგრამ მათი აღიარება ნამდვილ მსოფლიო ჩემპიონებად, მაინც მეტად ძნელია. რას ჰგავს ის, რომ ასეთ ჩემპიონატებში დროის სამ კონტროლს იყენებენ: კლასიკურსაც, სწრაფსაც და ელვისებურსაც.

როცა ანატოლი კარპოვმა, გარი კასპაროვმა და ვლადიმირ კრამნიკმა ფიდეს მკაცრი ღია წერილით მიმართეს და ახლა მოქმედი პირობების შეცვლა მოითხოვეს, მათ პასუხი გასცა არა ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა ან რომელიმე მისმა ვიცე-პრეზიდენტმა, არამედ დირექტორ-განმკარგულებელმა ემანუელ ომუკუმ, რომლის წერილიდანაც ცხადი გახდა, რომ ფიდე რაიმეს დათმობას, რაიმეს შეცვლას არ აპირებს. ახლა წამყვანი დიდოსტატები მორიგი საპასუხო სვლისათვის ემზადებიან, რათა ჭადრაკი შემდგომი რღვევისაგან იხსნან — საქმის ასე დატოვება მათ შეუძლებლად მიაჩნიათ.

კირსან ილიუმჟინოვი მოჭადრაკეებს დაპირდა, რომ ზოგიერთ რამეს ფიდე შეცვლის. ვნახოთ!

# მამუკა ოდიშელიძე



**საგანგაშო ამბავმა შეძრა ჩვენი ძიუდოს სამყარო, 29 წლისა ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს საქართველოს ნაკრები გუნდის ყოფილი წევრი ძიუდოში, სპორტის ოსტატი მამუკა ოდიშელიძე.**

**მამამ, ცნობილმა ძიუდოისტმა რომინ ოდიშელიძემ თავისი ვაჟიშვილი პატარაობიდან აზიარა სპორტის ამ სახეობას, ნიჭიერი სპორტსმენი არაერთგზის გახდა საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, საქართველოს ნაკრებთან ერთად წარმატებით გამოდიოდა საკავშირო პირველობებში.**

**სპორტიდან წასვლის შემდეგ შს სამინისტროს სისტემაშია. იყო პოლიციის კაპიტანი, სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა მცხეთა-მთიანეთის პოლიციის მე-6 სამმართველოში.**

**სპორტული ტრადიციების ოჯახს და პირადად მამუკა ოდიშელიძეს არასდროს გაუწყვეტია ურთიერთობა საქართველოს ძიუდოს თემთან, სადაც ის აღიზარდა, დავაჟკაცდა და ჩამოყალიბდა როგორც რაინდული ბუნების პიროვნება. ხარობდა ქართველ ძიუდოისტთა წარმატებებით, მეგობრებით, ქართული ტრადიციების დიდი ოჯახით, ცოლ-შვილით. სამწუხაროდ, ხანმოკლე გამოდგა ეს სიხარული.**

**უდროოდ წავიდა ამქვეყნიდან კიდევ ერთი თვალსაჩინო ვაჟკაცი, ყველასთვის საყვარელი და სამაგალითო პიროვნება. ასეთი ახალგაზრდები არა მხოლოდ ახლობლებს, საზოგადოებრიობას, მთელ ქვეყანას აკლდებიან.**

**მამუკა ოდიშელიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ იცოცხლებს ჩვენს გულებში. საქართველოს ძიუდოს ერთ მუშტად შეკრული სამყარო მის სახელს დავიწყებას არასდროს მისცემს.**

საქართველოს
ძიუდოს ფედერაცია

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს ცაგერის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს გიორგი კვირიკაშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.**

# ტოტო ლოტო

**№17 ტირაჟის შედეგები 5–6.05.2001**

## ლოტო 6-42

**7 9 17 30 37 41**

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 x | 6192.10 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 5 რიცხვი | 0 x | 206.30 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 4 რიცხვი | 19 x | 7.20 ლარი | |
| 3 რიცხვი | 222 x | 1.00 ლარი | |

## სუპერ 7

**3 9 5 0 8 7 4**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3950874 --- | 50,000 ლარი | 874 --- | 50 ლარი |
| 950874 --- | 15,000 ლარი | 74 --- | 3 ლარი |
| 50874 --- | 5,000 ლარი | 4 --- | 0.50 ლარი |
| 0874 --- | 500 ლარი | | |

## ტოტო ფეხბურთი — 12 მატჩი

**2X1 1X1 2XX X21**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 22426.60 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 11 შედეგი | 0 x | 464.60 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 1 x | 464.60 ლარი | |

მე-18 ტირაჟის პროგრამა (12-13. 05. 2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | იტ. | ნაპოლი – ლაციო | 20-20-60 |
| 2. | იტ. | რეჯინა – პარმა | 20-20-60 |
| 3. | იტ. | ბრეშა – ბოლონია | 30-30-40 |
| 4. | იტ. | უდინეზე – პერუჯა | 40-30-30 |
| 5. | გერ. | ბოხუმი – ფრაიბურგი | 20-30-50 |
| 6. | გერ. | შტუტგარტი – შალკე | 20-30-50 |
| 7. | გერ. | უნტერჰახინგი – დორტმუნდი | 30-30-40 |
| 8. | გერ. | ჰერტა – ლევერკუზენი | 40-30-30 |
| 9. | ესპ. | დეპორტივო – ალავესი | 60-20-20 |
| 10. | ესპ. | მალაგა – ვალენსია | 20-40-40 |
| 11. | ესპ. | ლას პალმასი – სარაგოსა | 40-30-30 |
| 12. | ესპ. | ბილბაო – ვალიადოლიდი | 50-30-20 |

## ტოტო ფეხბურთი — 11 მატჩი

**21X 111 1X1 2X**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 x | 416.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 5 x | 12.30 ლარი | |
| 9 შედეგი | 13 x | 2.30 ლარი | |

მე-18 ტირაჟის პროგრამა (12-13. 05. 2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | გერ. I | ბაირნი – კაიზერი | 50-30-20 |
| 2. | გერ. I | ჰერტა – ლევერკუზენი | 40-30-30 |
| 3. | გერ. I | შტუტგარტი – შალკე | 20-30-50 |
| 4. | გერ. I | ჰანზა – მიუნხენ 1860 | 30-40-30 |
| 5. | გერ. I | ბოხუმი – ფრაიბურგი | 20-30-50 |
| 6. | გერ. I | ვოლფსბურგი – აინტრახტი | 50-30-20 |
| 7. | გერ. I | უნტერჰახინგი – დორტმუნდი | 30-30-40 |
| 8. | გერ. I | კიოლნი – ვერდერი | 30-40-30 |
| 9. | გერ. II | კოტბუსი – ჰამბურგი | 30-40-30 |
| 10. | გერ. II | ფიურტი – მიონხენგლადბ | 30-40-30 |
| 11. | გერ. II | მაინცი – ალენი | 20-30-50 |

## სპორტული ლოტო

**№17 ტირაჟის შედეგები 6.05.2001**

| სვლა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოთამაშე რიცხვი | 7 | 1 | 23 | 2 | 17 | 6 | 9 | 12 | 4 | 8 |
| სვლა | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| მოთამაშე რიცხვი | 15 | 13 | 19 | 14 | 20 | 10 | 18 | 5 | 11 | 16 |
| მოგებული თანხა | | 10,000 ლარი | 1,000 ლარი | 100 ლარი | 50 ლარი | 10 ლარი | 5 ლარი | 2 ლარი | 1 ლარი | 2 ბილეთი |

გაუთამაშებელი რიცხვები: 3 21 22 24

სპორტშოუ „ფანატის“ გათამაშებაში:

15035 83519, 19007 96486, 11001 78057
11001 79067, 11001 78090, 19015 17233

ტელ: 38-90-74, 33-25-28

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**8 მაისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10.35), ოვერტაიმი (19.25), ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „ბაიერნი“ – „რეალი“ (23.40), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ვალენსია“ – „ლიდსი“ (23.35), ***ESPN.*** ფეხბურთი. იტალიის (12.00), ინგლისის (20.00), ჩემპიონატები და მიმოხილვა, ჩემპიონთა ლიგა. „ვალენსია“ – „ლიდსი“ პირდაპირი (23.30). ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 17.00). ფეხბურთი. ევროგოლი (15.00). ცხენოსნობა. გრან-პრი (19.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (00.00). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (15.45), ჩემპიონთა ლიგის (19.45), ესპანეთის (22.45), ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. „ვალენსია“ – „ლიდსი“ (23.40). ***НТВ плюс спорт.*** ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის მატჩი (11.40, 19.25), ბრძოლა DRAKA-ს ვერსიით. მსოფლიო ჩემპიონატი (23.30).

**9 მაისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. საქართველო – აზერბაიჯანი, პირდაპირი ტრანსლაცია ქუთაისიდან (17.55), შესვენებისას – „ნონა და ყველა ვარსკვლავი“, პირდაპირი ჩართვა ჭადრაკის სასახლიდან. ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგა: „ბაიერნი“ – „რეალი“ (15.20), „ვალენსია“ – „ლიდსი“ (23.40). ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00). ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.15, 20.00). ***НТВ.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა „ბავარია“ – „რეალი“, ნახევარფინალის საპასუხო მატჩი (23.35), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. ნახევარფინალები (07.30), 14.30, 17.00). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ბაიერნი“ – „რეალი“, პირდაპირი (23.30), ***EUROSPORT.*** რბოლა სატვირთო ავტომობილებით. ევროპის თასი (13.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30, 20.00), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: ნახევარფინალები. „ვალენსია“ – „ლიდსი“ (13.15), „ბავარია“ – „რეალი“ (23.40), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.00, 19.45), ***НТВ плюс спорт.*** „ბილიარდის მეფეები“ (12.40), ტაილანდური კრივი, პროფესიონალთა ბრძოლები (18.30), ბრძოლა DRAKA-ს ვერსიით (23.30).

**10 მაისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ვალენსია“ – „ლიდსი“ (15.20). ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.00). ***ESPN.*** კრივი. ლეგენდარული მუჰამედ ალი (14.30), ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა: „ბაიერნი“ – „რეალი“ (20.00), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (23.00), ***EUROSPORT.*** კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (20.00, 0.30), ფეხბურთი. უეფას თასი (2.15). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი „ბავარია“ – „რეალი“ (14.00), იტალიის (18.30), გერმანიის (1.00) ჩემპიონატების მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ტაილანდური კრივი, პროფესიონალები (14.40), „ბილიარდის მეფეები“ (16.40), კალათბურთი: ნბა-ს მიმოხილვა (22.30), ევროლიგა. ფინალური შეხვედრების მე-5 მატჩი: იტალიის „კინდერი“ – ესპანეთის „ტაუგრესი“ (23.35).

# კროსვორდი № 35



**თარაზულად:** 2. მწვერვალი კავკასიონზე, 4. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი-ლეგიონერი ფეხბურთელი, 7. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 9. ტურისტების საყვარელი ადგილი დუშეთის რაიონში, 10. საფრანგეთის II დივიზიონის საფეხბურთო კლუბი, 13. „ბაიერნი“ ანუ... 15. წარსულში ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი მამაკაცებს შორის, 17. საჭადრაკო ფიგურა, 19. თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 20. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი (I ლიგა).

**შვეულად:** 1. რიტმული, მწყობრი ნაბიჯით სვლა, 3. ქართველი ოლიმპიური პრიზიორი ძალოსნობაში, 4. სპორტში შედეგის შეფასების რიცხობრივი გამოხატულება, 5. წარსულში ცნობილი ქართველი ფალავანი ჭიდაობის პროფესორად წოდებული, 6. ქართული ცხენოსნური სახეობა, 8. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთში, 11. აღმოსავლური სამაგიდო თამაში, 12. საფრანგეთის I დივიზიონის საფეხბურთო კლუბი, 14. სტენდზე გაკრული ინფორმაცია, რომელიც იუწყება სპორტული, კულტურული და სხვა ღონისძიებების შესახებ, 16. იტალიის სერია A-ს მაჩანჩალა გუნდი, 18. ახალზელანდიელი პროფესიონალი მოკრივე, დევიდ ...

## №34 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 2. აშვეთია, 6. სარმა, 8. შენგელია, 9. შოლი, 12. ლასკერი, 13. იამანიძე, 15. რალი, 16. ასანიძე, 19. გოლი, 20. ნოვაკი, 21. იერო, 22. ინსაიდი, 24. ბეილი, 25. ირაო, 26. ფანდი, 27. შიონი. **შვეულად:** 1. სორელი, 3. შავლო, 4. საბატინი, 5. ფიგუ, 6. სალასი, 7. მაჩაიძე, 10. ტერელაძე, 11. ომონია, 14. გასქოინი, 15. რაი, 17. კროლი, 18. აკვრა, 21. იველია, 23. დიდა.

# რეიტინგი

გუშინ ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ გამოაქვეყნა ახალი რეიტინგი. პირველი ექვსეული უცვლელია. მეცხრედან მე-7 ადგილზე გადაინაცვლა ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა, შესაბამისად მეშვიდედან მე-9 ადგილზე გადაინაცვლა ფრანგმა ამელი მორესმა. კვლავ ლიდერობს შვეიცარიელი ჰინგისი, მეორეა უილიამსი, მესამე — დევენპორტი, მეოთხე — კაპრიატი, მეხუთე — სელეში, მეექვსე — სერენა უილიამსი (ყველა — აშშ).

# საჭადრაკო ამოცანა

ემზარ ჭუმბურიძე
(სიმონეთი)



**შამათი 3 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. ლh1! 1. ...ე:c5 2. ეc4X.
1. ...კ:c5 2. ეb4X. 1. ...ე:a4 2. ეb4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.